სამბა

№11(191)
ნოემბერი
2011

საქართველოს კათოლიკეთა ყოველთვიური მაცნე

მამა იან სნეჭინსკი

მადლობა მამა იან,
შენი მსახურებისათვის...
საქართველოში სიყვარულით
მოგიგონებენ!



მამა იან სნეჟინსკი

2011 წლის 4 ოქტომბერს, პოლონეთში გარდაიცვალა მამა იან სნეჟინსკი.

მამა იანი დაიბადა 1940 წელს, ვინიცის ოლქში, ჟმერინსკის რაიონის დაბა ბრაილოვში. 1963 წელს სასწავლებლად შევიდა რიგის სასულიერო სემინარიაში. მისი მღვდლად კურთხევა მოხდა რიგის წმ. იაკობის კათედრალურ ტაძარში, ეპისკოპოს (შემდეგში კარდინალი) იულიანს ვაევოდსის მიერ. ორი წელი ღვთისმსახურებას ეწეოდა ვარაკლიანის ეკლესიაში, შემდეგ კი, თბილისის წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა ეკლესიის (იმჟამად ერთადერთი მოქმედი კათოლიკური ეკლესია საქართველოში) მრევლის თხოვნით, ეპისკოპოსმა იულიანს ვაევოდსმა მიავლინა საქართველოში, მამა კონსტანტინე საფარიშვილის მოადგილე-ვიკარად. მამა კონსტანტინეს გარდაცვალების შემდეგ, 1973 წლის 28 დეკემბერს, ვატიკანის გადაწყვეტილებით, მამა იანი ეკლესიის წინამძღვრად დაინიშნა.

მამა იანს შესანიშნავი დამოკიდებულება ჰქონდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის იმჟამინდელ მესვეურებთან. ამის შესახებ მამა იანი ასე იხსენებდა: „საქართველოში რომ ჩამოვედი, მ. კონსტანტინე საფარიშვილის თხოვნით, შევხვდი კათალიკოს-პატრიარქ ეფრემ II-ს. მან ძალზე თბილად, შეიძლება ითქვას, სიყვარულითაც კი მიმიღო. მის დაკრძალვაზე, სადაც ოფიციალურად ვიყავი მიწვეული, შევხვდი ამჟამინდელ კათალიკოს-პატრიარქ ილია II-ს (მაშინ იგი სოხუმის მიტროპოლიტი იყო). მან დიდი პატივით წარმადგინა მოსკოვის პატრიარქის წინაშე“.

წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა ეკლესიის მრევლი მრავალფეროვანი და მრავალენოვანი იყო, მაგრამ მამა იანი ყველასთან ახერხებდა საერთო ენის

მ. კონსტანტინე საფარიშვილი და მ. იან სნეჟინსკი

გამონახვას, რადგანაც, მისი თქმით, ყველას ქრისტეს რწმენა და სიყვარული აერთიანებდა. მ. იანი განსაკუთრებით ქართველ მრევლს მოუწოდებდა, რომ აქტიური მონაწილეობა მიეღოთ წმიდა წირვაში.

მამა იანი ყოველთვის ეძებდა „გაფანტულ ცხვრებს“, ცდილობდა, მიეყვანა ისინი ღვთის სახლში.

„ჩემი მიზანია, ვემსახურო ქართველ ხალხს მის ევანგელიზაციაში. უფალს სურს, რომ მე აქ ვიყო და ამიტომ ავლენს ჩემთვის თავისი წყალობის სასწაულებს, საქართველოში ჩემი მუშაობის მანძილზე. რა თქმა უნდა, უფალი ამას საქართველოს გამო აკეთებს“, – ამბობდა მამა იანი.

იგი ოცდახუთ წელზე მეტხანს ემსახურა საქართველოს კათოლიკეებს, საქართველოს. მისი ხსოვნა სამარადისოდ დარჩება ჩვენს გულებში.

მადლობა, მამა იან, შენი მოსიყვარულე გულისა და შენი მსახურებისათვის!

ჩვენ გვჯერა, რომ ღმერთმა თავის საუფლოში მიიხმო მისი რჩეული შვილი.

ციცინო ხითარიშვილი

მთელი პატიოსნებით

იმ მრავალ აღსანიშნავ დღეთა შორის, რომელიც ამა თუ იმ პრობლემას ეძღვნება (მაგ.: ეკოლოგია, შიდსი, კიბო), არის კიდევ ერთი დღე, რომელიც შობის წინა კვირადღეს აღინიშნება, და რომელიც პატიოსნებას, წესიერებას ეძღვნება. უცნაურია, მაგრამ ასეა. ეს ინიციატივა პიროვნებათა ერთი ჯგუფის მიერ წამოვიდა, რომლებიც თვლიან, რომ დღეს საზოგადოებაში წესიერებას უკვე აღარავინ უწევს ანგარიშს, ის აღარ ითვლება ერთ-ერთ იმ ძირითად ღირსებად, რაზეც უნდა აიგოს და წარიმართოს ჩვენი ცხოვრება და მოღვაწეობა. ფაქტობრივად, პატიოსნების პრინციპით გაკეთებული ზოგადი განცხადებების გარდა, თითოეული ადამიანი ყოველდღიურად აღმოჩნდება სხვადასხვა ფორმით მიცემული სიტყვის, კანონისა და გამჭვირვალობის საერთო წესების, სხვათა უფლების დარღვევის ფაქტების წინაშე. გავრცელებულ და გაბშირებულ უწესო ქცევათა ფონზე, მას, ვისი ცხოვრების აზრსაც წესიერება წარმოადგენს, საზოგადოება „გულუბრყვილოს“ უწოდებს.... რა კარგი იქნებოდა, წელიწადში ერთხელ მაინც რომ მომხდარიყო ასეთი რამ: ბანკირს საკუთარი კლიენტისთვის აეხსნა, რომ უმჯობესი იქნებოდა, თანხა არ დაებანდებინა მისი ბანკის რომელიმე ანგარიშზე, რადგანაც სხვაგან უფრო ხელსაყრელი პირობებია; ფარმაცევტს საკუთარი კლიენტისთვის აეხსნა, რომ წამალი, რომლის შეძენასაც აპირებს, სრულიად უსარგებლოა; ექიმს პაციენტისთვის გაემხილა, რომ ძვირად ღირებული მკურნალობა არ უშველის; ფირმას ისეთი რეკლამა გაეკეთებინა, სადაც აღიარებდა, რომ წლების მანძილზე ვარგისად მიჩნეულ, სინამდვილეში კი საეჭვო ინგრედიენტებით დამზადებულ პროდუქტებს ყიდდა; მჩხიბავი გამოტყდომოდა კლიენტს, რომ გათვალვა სიცრუეა, და რომ კარტი არაფერს მოასწავებს; გამყიდველი გამოტყდომოდა კლიენტს, რომ „ეს ტანსაცმელი მას სრულიად არ უხდება“... მოკლედ, ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია პატიოსნად მოიქცეს. ეს მხოლოდ მაგალითებია;

ნებისმიერ პიროვნებას, რომელიც გამოცდილებას იძენს ოჯახურ, სამსახურებრივ, საეკლესიო ან სოციალურ გარემოში, თავისი „შავი ლაქა“ გააჩნია! ფინანსური დარღვევები, ყალბი ბიუჯეტი, შავი სამუშაო, სამსახურებრივ უფლებათა გადამეტება, კორუფცია, ტყუილები, მიცემული სიტყვის შეუსრულებლობა, – ეს ყველაფერი უწესო საქციელზე მეტყველებს, რომელიც დამახასიათებელია არა მხოლოდ სახელმწიფოს მაღალი ეშელონების მოხელეთათვის, არამედ ბანკის მესვეურთათვისაც, რომლებმაც ამჟამინდელი მსოფლიო ფინანსური კრიზისი გამოიწვიეს, და ასევე, ყველა იმ ადამიანისთვის, ვინც ყიდის, და ვინც ყიდულობს, ვინც ცდილობს, ჩვეულებრივად იცხოვროს, ვინც ეკლესიაში დადის; გამყიდველისთვის, რომლის სასწორიც მცდარია; ელექტრიკოსისთვის, რომელიც მავთულების ეკონომიას აკეთებს; მასწავლებელისთვის, რომელიც კარგად არ ასწავლის, ამიტომ ბავშვები იძულებულნი არიან, რეპეტიტორებთან იარონ; პოლიციელისთვის, რომელიც თავად არ იცავს საგზაო წესებს; საჯარო მოხელესთვის, რომელიც, მეგობრებისა და ნათესავების გამო, პროტექციას მიმართავს; მეგობრისთვის, რომელიც ნასესხებ ფულს უკან არ აბრუნებს; მღვდლისთვის, რომელიც თავად სცოდავს...

საკითხავია, ვის ეკისრება პასუხისმგებლობა იმაზე, რომ დღეს წესიერება არ ფასობს? ძნელია ამის თქმა. არცთუ იშვიათად, ამბობენ, რომ სიტუაციამ აიძულა უწესოდ მოქცეულიყო; მაგრამ თუკი იმ ანდაზებს გავიხსენებთ, რომლებიც წესიერებაზე საუბრობენ, წესიერად ცხოვრების შესაძლებლობაში ეჭვი შეგვეპარება და პესიმიზმი შეგვიპყრობს; საკმარისია, გავიხსენოთ ერთი მათგანი: „In tutta onestà non credo nell’onesta“ („მთელი პატიოსნებით არ მწამს პატიოსნება“). სამწუხაროდ, ზოგიერთი ღმერთსაც უჩივის, რომ ის უწესო ადამიანებს ეხმარება; სამწუხაროდ, არც ეკლესიები და მათი წარმომადგენლები, არც მორწმუნეები ხმას არ იმაღლებენ მავანთა საეჭვო პატიოსნებაზე; და მაინც, წესიერება უმთავრესია ცხოვრებაში, ის საჭიროა საზოგადოების აღსაზრდელად და ეკლესიის მიმართ რწმენის განსამტკიცებლად.

დავფიქრდეთ თუნდაც ამაზე: როდესაც ვინმეს რთული სიტუაციიდან თავის დაღწევა სურს, ის არაწესიერ გზას მიმართავს, ამახინჯებს უკვე მომხდარ ფაქტს, მაშინ როდესაც ყველაზე მარტივი იქნებოდა სიმართლის თქმა. წესიერება შეიძლება შემაწუხებელი იყოს, მაგრამ, ჩვეულებრივ, სიმართლის თქმით გამოწვეულ უხერხულობაზე უფრო ძნელი ასატანი უწესო საქციელის გამო გამოწვეული უხერხულობის ატანაა. დროდადრო, როცა წესიერად არ ვიქცევით, ადრე თუ გვიან, ყველაფერი უკან შემოგვიბრუნდება. წესიერება ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპია პიროვნებათა აღზრდაში, ისეთი მავნე ჩვევებისგან მათ დასაცავად, როგორიცაა ალკოჰოლიზმი, ნარკომანია, ცოლ-ქმრული ღალატი. წესიერება ითხოვს, რომ ვაღიაროთ საკუთარი უუნარობა, უმართავობა, უპასუხისმგებლობა.

ყოველთვის ადვილი როდია წესიერად ცხოვრება, მისი მოთხოვნილებებიდან გამომდინარე, მით უფრო, თუ ტყუილსა და მალვას ხარ მიჩვეული. მაგრამ უწესოდ ცხოვრებას ყოველთვის წესიერების დაცვა სჯობს, რადგან ის დაგეხმარება, რომ სუფთად იცხოვრო და გაიზარდო.

სოციალური ასპექტით, შეიძლება ეს კითხვა დაისვას: „რით უფრო მოიწყობს ადამიანი ცხოვრებას: უწესო ქმედებით, თუ პატიოსნებით?“ რაღა თქმა უნდა, ასეთ ეკონომიკური უთანასწორობის ხანაში ცხოვრება, ფსევდო დემოკრატიის მრავალი მაგალითები (პრეზიდენტები, რომლებიც პრემიერ მინისტრები ხდებიან და პირიქით...), ისეთ შთაბეჭდილებას გვიქმნიან, რომ წესიერება სულაც არ არის კარგი რამ, ან იგი მხოლოდ ინდივიდების ეთიკური არჩევანია. სინამდვილეში, ხალხის წესიერება ძალზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური პროგრესის წყაროა. უცხოური ინვესტიციების მოზიდვის (და არა მხოლოდ მათი) უნარი ინვესტორთა მხრიდან იმ დამოკიდებულებას ემყარება, რომ ამ ქვეყანაში ტრანსაქციებს პატივისცემით ეკიდებიან, რომ მოტყუება არ ხდება და კორუფციის დონე შესაბამისად დაბალია.

მსოფლიოში არის ქვეყნები, სადაც ადამიანის უფლება, ფაქტობრივად, არ არსებობს, ხოლო მუქარა და ძალდატანება საქმიან მიდგომად ითვლება; სადაც იარაღი უფრო ჭრის, ვიდრე კონტრაქტი, სადაც ადამიანების გაცურება ჩვეულებრივი ამბავია. ასეთ ქვეყანაში რესტორნის გახსნა, ან ბინის შეძენა, ანდა, უბრალოდ, შვებულების გატარება თვითმკვლელობის ტოლფასია. და კიდევ, დააბანდებდა ფულს უცხო ქვეყნის მოქალაქე იმ ქვეყანაში, რომელიც, გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, საკუთარი მოქალაქის მინიმალურ უფლებასაც კი არ იცავს? ისტორია მუდამ აჩვენებდა, რომ წარმატებული ეკონომიკა მტკიცე მორალს ეყრდნობა, ხოლო როდესაც ეს ბაზისი შერყეულია, ამ საზოგადოების ნგრევა იწყება.

ყველაზე დიდი იმედგაცრუება, რომელიც შეიძლება ამგვარ საზოგადოებაში დაგეუფლოს, არის ეჭვი, რომ სუფთა სინდისით ცხოვრება ფუჭია და უსარგებლო. კვლავინდებურად გვწამს წესიერების, პატიოსნების და იმ შესაძლებლობის, რომ ეს ღირსება შეიძლება საზოგადოებაში გავრცელდეს? საერთო კეთილდღეობა, მოვალეობა, წესების, მორალის დაცვა – სწორედ ამ ფასეულობებს უნდა გაუწიოს ანგარიში დემოკრატიულმა საზოგადოებამ, მმართველმა კლასმა, გლობალურმა ეკონომიკამ, „ყოველდღიური ცხოვრების ეკოლოგიამ“. და ეს არა პრეზუმციის გამო, – როგორც ბადენ პაუელი (სკაუტიზმის დამაარსებელი) აცხადებდა, – არამედ იმიტომ რომ მოქალაქეებმა, რომლებიც პირნათლად ასრულებენ თავიანთ როლს, მომავალ თაობებს გადასცენ „უფრო უკეთესი სამყარო, ვიდრე ჩვენ დაგვხვდა.“

წესიერებასა და პატიოსნებაზე გავრცელებულია მრავალი უარყოფითი წარმოდგენა, რომლის მიხედვითაც უწესობას მხოლოდ უწესობით უნდა უპასუხო; მაგრამ ბიბლია შეგვაგონებს, რომ: „საამურია კაცისთვის სიცრუის პური, მერე კი ღორღით გაივსება მისი პირი“ (იგავ. 20, 17); რომ: „განძეულობის მოხვეჭა მატყუარა ენით სიკვდილის მძებნელთა წარმავალი ქროლვაა“ (იგავ. 21, 6); „მრუდი სასწორი სისაძაგლეა უფლის წინაშე, სრული წონა კი – მისი მოსაწონი“ (იგავ. 11, 1); და „სიმართლისა და სამართლის ქმნა მსხვერპლზე უკეთესია უფლისათვის“ (იგავ. 21. 3).

მამა გაბრიელე ბრაგანტინი

დიპლომატიური ურთიერთობები ახალ ლიბიასთან

„კადაფის შეეძლო, სხვაგან ეძია თავშესაფარი, დაფიქრებულიყო და დანაშაულის მონანიება ეცადა. მან ეს არ ისურვა. სამწუხაროა, ასე რომ მოხდა. მაგრამ მსოფლიომ არ უნდა იზეიმოს ადამიანის სიკვდილი, დამნაშავისაც კი. როგორც ლიბიაში, ასევე ჩრდილოეთ აფრიკის სხვა ქვეყნებში, არ კმარა გათავისუფლება მხოლოდ გარკვეულ ლიდერთაგან. საჭიროა თავისუფლება ყველასათვის, მათ შორის, ქრისტიანული უმცირესობისათვის“, – აღნიშნავს სამართლიანობისა და მშვიდობის პონტიფიკალური საბჭოს თავმჯდომარე, კარდინალი პიტერ ტარკსონი.

მუამარ კადაფის სიკვდილის დღეს, წმიდა საყდრის პრეს-სამსახურმა შემდეგი განცხადება გაავრცელა:

„სისხლიანი ბრძოლა სასტიკი და დამთრგუნველი რეჟიმის წინაღმდეგ მუამარ კადაფის სიკვდილით დასრულდა. ლიბიაში ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ გვაჩვენა, რაოდენ ძვირი გვიჯდება ყოველი სისტემა, რომელიც ეფუძნება არა პიროვნების ღირსების პატივისცემას, არამედ გამიზნულია მხოლოდ ძალაუფლების განმტკიცებისაკენ. იმედი ვიქონიოთ, რომ ახალი მმართველები რაც შეიძლება სწრაფად დაიწყებენ ქვეყნის აღდგენის პროცესს, და რომ საერთაშორისო საზოგადოებრიობა ხელს შეუწყობს მათ ამ პროცესში. ლიბიის პატარა კათოლიკური თემი კვლავაც გააგრძელებს თავის მოწმეობას და გულმოწყალების მსახურებას“, – ნათქვამია განცხადებაში.

წმიდა საყდრის სამოციქულო დესპანი მალტასა და ლიბიაში ტომაზო კაპუტო სამდღიანი ვიზიტით ტრიპოლიში იმყოფებოდა, სადაც გარდამავალი მთავრობის პრემიერ-მინისტრს, მაჰმუდ ჯიბრილს შეხვდა.

შეგახსენებთ, რომ დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებისას, წმიდა საყდარი აღიარებს არა მთავრობებს, არამედ სახელმწიფოებს. ამრიგად, ლიბიის ეროვნული გარდამავალი საბჭო მის მიერ ფორმალურად აღიარებული არ ყოფილა. წმიდა საყდარი განიხილავს ეროვნულ გარდამავალ საბჭოს, როგორც ლიბიელი ხალხის ლეგიტიმურ წარმომადგენელს და წარმატებას უსურვებს მას ქვეყნის აღდგენაში.

სტივ ჯობსი და იგნასიო ლოიოლა

„Apple-მ დაკარგა მეოცნებე და შემოქმედი გენიოსი, მსოფლიომ კი – შესანიშნავი ადამიანი. მათ, ვინც სტივს იცნობდა და მასთან მუშაობდა, დაკარგეს ძვირფასი მეგობარი და შთაგონებული მასწავლებელი. მან დაგვიტოვა კომპანია, რომლის შექმნა მხოლოდ მას შეეძლო. პატივი მივაგოთ მის ხსოვნას და გავაგრძელოთ მისი საქმე, რომელიც ასე ძლიერ უყვარდა“, – ვკითხულობთ Apple-ს ოფიციალურ საიტზე.

სტივ ჯობსი ამა წლის 5 ოქტომბერს გარდაიცვალა. გთავაზობთ ამონარიდს ამ შესანიშნავი ადამიანისადმი მიძღვნილი სტატიიდან, რომლის ავტორია ჟურნალის „Civilta Cattolica“ მთავარი რედაქტორი, იეზუიტი მღვდელი ანტონიო სპადარო.

„ხსოვნა იმისა, რომ მალე აღარ ვიქნები, – აი, ხერხი, რომელიც ცხოვრების უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების მიღებაში დამეხმარა“, – თქვა სტივ ჯობსმა 2005 წლის 12 ივნისს, როდესაც სტენფორდის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს მიმართავდა. სტივი მართალია. მისი სიტყვები ეხმიანება იეზუიტთა ორდენის დამაარსებლის, იგნასიო ლოიოლას სიტყვებს: „წარმოიდგინე შენი თავი სიკვდილის ჟამს, და ის სახე და რჩეულების ხარისხი, რომელსაც იმ ჟამისთვის ისურვებდი, ახლანდელი რჩეულების საზომად გახადე და ამის თანახმად მიიღე გადაწყვეტილება“ (სულიერი წვრთნა, 186). როგორც ლოიოლასთვის, ასევე ჯობსისთვის სიკვდილი სულაც არ არის რაღაც საშინელი: სიკვდილზე ფიქრისას ქრება ეჭვები და შიშები და რჩება მხოლოდ ის, რაც მართლაც მნიშვნელოვანია თქვენთვის. „უნდა იპოვოთ ის, რაც გიყვართ“, – ამბობდა სტივ ჯობსი და ეს სიტყვებიც ლოიოლას სიტყვებს ეხმიანება: „შევთხოვო უფალს, თუ რა მინდა და რა მსურს“ (სულიერი წვრთნა, 48).

მე არ ვიცი, იყო თუ არა ჯობსი მორწმუნე. მისი სიტყვიდან ეს არ ჩანს. ჩანს მხოლოდ მზაობა, მიიღოს გადაწყვეტილებები იმის გათვალისწინებით, რაც მართლაც მნიშვნელოვანია. „უკვე შიშვლები ვართ“, – ამბობს ჯობსი. „შიშველი გამოვედი დედის მუცლიდან და შიშველი დავბრუნდები იქ“, – ამბობს ბრძენი (იობი 1, 21). ხსოვნა იმისა, რომ შიშველნი ვართ, ბრძენთა გზით სიარულს ნიშნავს. მხოლოდ ის ცხოვრობს სავსე ცხოვრებით, ვისაც ახსოვს, რომ შიშველი და მოკვდავია. ის, რაც ნამდ-

ვილად მნიშვნელოვანია, არის საკუთარი მისიის მსახურება, – იმისთვის, რომ სამყარო უკეთესი გახდეს“.

მასმედია პაპის წინააღმდეგ

„მასმედია უმოწყალოდ ესხმის თავს ბენედიქტე XVI-ს და მის ეპისტოლეებს. თავის დროზე იგი თავს ესხმოდა იოანე პავლე II-საც, განსაკუთრებით, მისი პონტიფიკატობის დასაწყისში“, – აღნიშნავს იტალიელი ანდრეა ტორნიელი, თანაავტორი წიგნისა „თავდასხმა რაცინგერზე“, – „სწორედ ამ თავდასხმებმა გვაფიქრებინა წიგნის დაწერა. მიგვაჩნია, რომ მასმედიის ზოგიერთ საშუალებათა მანიპულაციების გამო, პაპის გზავნილი არამართებულად იქნა მიღებული და გაგებული. წიგნში ვეცადეთ, რაც შეიძლება ზუსტად გაგვეშუქებინა ბენედიქტე XVI-ის პონტიფიკატობის ის ეპიზოდები, რომლებმაც განსაკუთრებული რეზონანსი გამოიწვია.

მედიის მანიპულაციათა მაგალითია ბენედიქტე XVI-ს პონტიფიკატის დაპირისპირება იოანე პავლე II-ის პონტიფიკატთან. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კარდინალი რაცინგერი დიდი ხნის მანძილზე თანამშრომლობდა წინამორბედ პაპთან, როგორც უმნიშვნელოვანესი დიკასტერიის პრეფექტი და პაპ ბენედიქტე XVI-ის მიერ გადადგმული ბევრი ნაბიჯი თავის დროზე იოანე პავლე II-სთან ერთად იყო განხილული. იგივე შეიძლება ითქვას ზოგიერთ დოკუმენტზეც, როგორიცაა დეკლარაცია „Dominus Iesus“.

იმაზე უნდა ვიზრუნოთ, რომ უკეთ გავიგოთ ბენედიქტე XVI-ის გზავნილი. ამისთვის მისი ტექსტები უნდა ვიკითხოთ და ვუსმინოთ მას“.

ქვეყანა ეკლესიების გარეშე

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ცნობით, მოცემულ მომენტში ავღანეთში აღარ არის არც ერთი ქრისტიანული ეკლესია. „ქვეყანაში აღარ არსებობს „საჯარო“ ეკლესია, მხოლოდ შინაური სამლოცველოები. სხვადასხვა ქრისტიანულ კონფესიათა ეკლესიები არის რამდენიმე სამხედრო ბაზაზე. რელიგიურ ჯგუფთა და ცალკეულ პირთა დაცვის სამართლებრივი სისტემების არარსებობის გამო, ბევრი ქრისტიანი თავს იკავებს რწმენის საჯაროდ აღიარებასა და ღმრთისმსახურებაში მონაწილეობის მიღებისაგან“, – ნათქვამია დეპარტამენტის მოხსენებაში.

ბოლო ეკლესია ავღანეთში 2010 წლის მარტში დაინგრა. მიწა, რომელზედაც შენობა იდგა, ეკლესიას 99 წლით იჯარით ჰქონდა აღებული. სასამართლომ არ დააკმაყოფილა ეკლესიის სარჩელი შეთანხმების პირობების შესრულების შესახებ, მიწათმფლობელმა კი ეკლესიის დანგრევის ნებართვა მიიღო.

წერილი შიმშილზე

16 ოქტომბერს სურსათის მსოფლიო დღე აღინიშნა. ამ მოვლენასთან დაკავშირებით, უწმიდესმა პაპმა საგანგებო წერილით მიმართა FAO-ს (Food and Agriculture Organization, სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია) გენერალურ დირექტორს.

„შიმშილის უღლისგან გათავისუფლება არის კონკრეტული გამოვლინება სიცოცხლის უფლებისა, რომელსაც საზეიმოდ ვაღიარებთ, და რომელიც ასე ხშირად რჩება განუხორციელებელი. საკვები პროდუქტების ხელმისაწვდომობა სულ უფრო ხშირადაა დამოკიდებული ფასთა და კლიმატური პირობების ცვალებადობაზე; მიუხედავად იმისა რომ გლობალიზაციის ხანაში ვცხოვრობთ, მრავლად არიან ადამიანე-

▶ 6 გვ.

◀ 5 გვ.

ბი, რომლებიც საკვების მწვავე ნაკლებობას განიცდიან იმ დროს, როდესაც სხვები უზარმაზარ რესურსებს ფლობენ“.

თავის წერილში უწმიდესი პაპი ითხოვს დახმარებას მათთვის, ვინც დღეს გვალვისაგან განადგურებულ მიწებს ტოვებს და შიმშილით კვდება. „ყოველი ადამიანისთვის სწორედ დღეს, და არა ხვალ, ხელმისაწვდომი უნდა იყოს მისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი სასურსათო რესურსები; საჭიროა სასოფლო-სამეურნეო სექტორის ინვერსტირება, რათა გარანტირებული იყოს წარმოებისა და, შესაბამისად, ბაზრის სტაბილურობა. უნდა ვიგრძნოთ პასუხისმგებლობა მსოფლიოში არსებული სიტუაციის გამო, შევცვალოთ საკუთარი ცხოვრების სტილი, მივეჩვიოთ ზომიერებას, რათა სამართლიანად შევძლოთ არსებული რესურსების განაწილება“.

80 წლის კარდინალმა შიმშილობა გამოაცხადა



ჰონკონგის ეპისკოპოსი, კარდინალი ჯოზეფ ძენ ძე-კუნი ჩინეთის ამ განსაკუთრებულ ადმინისტრაციულ ოლქში არსებული კათოლიკური სკოლების იდეოლოგიზაციას აპროტესტებს. არცთუ დიდი ხნის წინ კათოლიკურმა ეკლესიამ წააგო მრავალწლიანი სასამართლო პროცესი სასწავლო დაწესებულებათა ავტონომიის შესანარჩუნებლად. სასამართლოს გადაწყვეტილებით, ჰონკონგის ეკლესია ვალდებულია, მისი სამეურვეო სკოლების მმართველობაში კომუნისტური ხელისუფლების მიერ დანიშნული კანდიდატურები შეიყვანოს. პრეს-კონფერენციაზე კარდინალმა განაცხადა, რომ ჰონკონგის სკოლებმა, რომლებიც, სრულიად სამართლიანად, ამ რეგიონის საუკეთესო სასწავლო დაწესებულებებად ითვლება, ამ პირობებში შეიძლება არსებობა შეწყვიტოს. პრეს-კონფერენციაზე ასევე დაისვა კითხვა დოტაციებზე, რომელთაც ეკლესია ადგილობრივი მედია-მაგნატისაგან იღებს. კარდინალმა უპასუხა, რომ შემოწირულობები სტუდენტთა სტიპენდიებს, ჩინურ ენაზე სასულიერო ლიტერატურის თარგმნასა და სტიქიურ უბედურებათაგან დაზარალებულ რეგიონებში საქველმოქმედო აქციების მოწყობას ხმარდება.

შესაძლო ცვლილებები მონარქიის შესახებ კანონში

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი დევიდ კე-

მერონი ტახტის მემკვიდრეობის შესახებ კანონის რეფორმის ინიციატივით გამოვიდა. ახალი წინადადებები განსახილველად უკვე გაეგზავნა ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობის წევრი ქვეყნების მთავრობებს.

ამჟამად ბრიტანეთში მოქმედებს 1701 წლის აქტი ტახტის მემკვიდრეობის შესახებ, რომლის თანახმად, ტახტის დამკვიდრებისას, უპირატესობა ენიჭებათ ვაჟებს. კემერონის განცხადებით, ეს წესი შეუსაბამობაში მოდის თანამედროვე ღირებულებებთან.

აქტის თანახმად, მემკვიდრეობის უფლებას კარგავენ კათოლიკე აღმსარებლობის, კათოლიკესთან ქორწინებაში მყოფი პირები და მათი შთამომავლები. კემერონი ამას „ისტორიულ ანომალიას“ უწოდებს. თუმცა თავად მონარქი კვლავაც ანგლიკანური ეკლესიის წევრი იქნება, რადგან იგი არა მხოლოდ ბრიტანული მონარქიის, არამედ ანგლიკანური ეკლესიის მეთაურიცაა.

იმისთვის რომ პრემიერ-მინისტრის მიერ შემოთავაზებული ცვლილებები ძალაში შევიდეს, ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობის წევრი 15 ქვეყნის თანხმობაა საჭირო.

მოამზადა რუსუდან ავალიშვილმა

კონცერტი წმიდა პეტრე და პავლე მოციქულების ეკლესიაში

თბილისში უკვე მესამედ ჩამოვიდა ლიტვის პირველი პრეზიდენტის ვიტაუტას ლანდსბერგისის (ამჟამად ლიტვის პარლამენტის წევრი, საქართველოს დიდი მეგობარი. ერთი წლის წინ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა იგი წმ. გიორგის ორდენით დააჯილდოვა, 2004 წლიდან ის ევროპარლამენტის წევრია) შვილი იურატე. ამჟამად საქართველოში მისი ჩამოსვლის ძირითადი მიზანი იყო კონფერენციაში მონაწილეობა, რომელიც გაიმართა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტში. ქალბატონ იურატეს მხატვრულ-ფილოსოფიური ჟანრის ნაწარმოები „თქმულება“ ლიტველი კომპოზიტორის მიკალოუს კონსტანტინა ჩიურლონისის მსოფლმხედველობას, მის შემოქმედებას ეძღვნებოდა. იურატე ლანდსბერგისის მოხსენებას ფონად გასდევდა გერმანელი ფლეიტისტის იოჰანეს ჰუსტელის მუსიკა. აღსანიშნავია, რომ თავად იურატეც ორგანისტია.

ამ ორი მუსიკოსის დუეტმა თბილისის წმიდა პეტრე და წმიდა პავლე მოციქულების ეკლესიის მრევლს შესანიშნავი კონცერტი გაუმართა: მხნე, მხიარული და სევდიანი მელოდიები ერთმანეთს ენაცვლებოდა. კონცერტი იოჰან სებასტიან ბახის პრელუდიით დაიწყო, რომელიც ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის მელოდიებით გაგრძელდა და ბოლოს თანამედროვე მუსიკის ხმოვანებით დასრულდა.

დუეტმა ასევე შეასრულა ფრანგი რომანისტის გაბრიელე ფორეს შესანიშნავი პრელუდია. ქალბატონმა იურატემ ორგანზე თანამედროვე გერმანელი კომპოზიტორის ალექსანდრე გიულმანის სონეტები შეასრულა და მსმენელები მუსიკის შესანიშნავი ჰანგებით დაატყვევა.

კონცერტი დასრულდა სამი სევდიანი, აღმოსავლური მუსიკალური პიესით, კერძოდ, გრეგორი დანელიანის მიერ დამუშავებული ჰიმნებით. ამათგან ერთი მათგანი უცნობი ავტორისაა, სახელწოდებით „ცოცხალი შუქი“, ორი კი ეკუთვნის წმ. მესროპ მაშტოცს.

სომხური წესის კათოლიკეები სიამოვნებით უსმენდნენ მშობლიურ, თბილ ჰანგებს.

კონცერტის დასასრულს. მსმენელებმა ხანგრძლივი აპლოდისმენტებით გადაუხადეს მადლობა ამ შესანიშნავ დუეტს ღრმა, სულიერი სიამოვნებისათვის.

კარინა ოსიპოვა

დაუვიწყარი დღეები ახალციხის საკრებულოში

ახალციხის საკრებულოსთვის 2011 წლის ოქტომბრის თვე განსაკუთრებული და დაუვიწყარი იყო.

7 ოქტომბერი ახალციხის საკრებულოს დღესასწაულია (ბევრი დრო აღარ დარჩა იმ დღემდე, როდესაც ახალციხის რაბათის ღვთისმშობლის ეკლესიის დღესასწაულს ვიზეიმებთ). ამ დღის აღსანიშნავად სამლოცველოს ეზოში მრავალმა ადამიანმა მოიყარა თავი. გვესტუმრნენ თბილისიდან, ქუთაისიდან, ვალედან, უდედან, არლიდან, ივლიტადან...

წმიდა წირვას ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო უძღვებოდა. ქადაგებისას მეუფემ მოგვილოცა სამრევლოს დღესასწაული და დასძინა, რომ, უფლის წყალობითა და საქართველოს კათოლიკეთა ლოცვა-კურთხევით, მალე დასრულდება რაბა-

▶ 8 გვ.

◀ 7 გვ.

თის ეკლესიის მშენებლობა და, იმედია, მრავალი წლის ლოდინის შემდეგ, მომავალ დღესასწაულს ყველანი ერთად ეკლესიაში ვიზეიმებთ. ამ განცხადებამ მრევლის სიხარული და აღფრთოვანება გამოიწვია.

ეკლესიის მოძღვარმა მამა ზურაბ კაკაჩაშვილმა ეპისკოპოსს მადლობა გადაუხადა მობრძანებისთვის, და იმ დიდი თანადგომისა და დახმარებისთვის, რასაც იგი ახალციხის კათოლიკური საკრებულოსთვის აკეთებს.

ზეიმმა ტკბილ სუფრაზე გადაინაცვლა. ყველანი ერთმანეთს უზიარებდნენ მიღებულ შთაბეჭდილებებსა და საკუთარ მოსაზრებებს.

12 ოქტომბერს ახალციხის პირველ საშუალო სკოლაში აღინიშნა სკოლის 180 და მიხეილ თამარაშვილის – კათოლიკე მღვდლის, დიდი ქართველი მამულიშვილის, მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის – გარდაცვალებიდან 100 წლისთავის იუბილე. დღესასწაულის აღსანიშნავად ამჯერადაც უამრავმა სტუმარმა მოიყარა თავი. თბილისიდან ჩამობრძანდა ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო, თბილისის მარიამის ზეცად აღყვანების კათედრალური ტაძრის მრევლის წარმომადგენლები და მიხეილ თამარაშვილის საიუბილეო კომისიის წევრები, რომლებმაც სკოლას საჩუქრად გადასცეს მიხეილ თამარაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი სტენდი. იუბილეს ესწრებოდნენ ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის ეპარქიის მიტროპოლიტი, მეუფე თეოდორე ჭუაძე, სამღვდელო დასი და მონაზვნები, თამარაშვილის მემკვიდრეები. იუბილე გაგრძელდა ახალციხის სასწავლო უნივერსიტეტში და დასრულდა ახალციხის სახელმწიფო თეატრში.

15 ოქტომბერი – მოღრუბლული, წვიმიანი დღე გათენდა, მაგრამ მალე გამოიდარა და მზემაც გამოანათა. ამ დღეს შესრულდა სასიქადულო მამულიშვილის „ვინმე

მესხის“ – ივანე გვარამაძის დაბადებიდან 180 წლისთავი. თავი მოვიყარეთ რაბათის ეკლესიის ეზოში გვარამაძის საფლავთან. აქ იყვნენ მღვდელმსახურნი, მრევლის წევრები, მისი შთამომავლები, შვილთაშვილები.

პარაკლისი მამა ზურაბმა ჩაატარა. მან ისაუბრა ივანე გვარამაძის მოღვაწეობასა და იმ დიდ ღვაწლზე, რაც მან გააკეთა კათოლიკური სარწმუნოებისა და ქართველობის შესანარჩუნებლად. გვარამაძის მემკვიდრეებმა მადლიერება გამოხატეს მისი ესოდენ დიდი დაფასებისათვის და აღნიშნეს, რომ 2012 წლის გაზაფხულზე მისი გარდაცვალებიდან 100 წლისთავთან დაკავშირებულ საიუბილეო ღონისძიების მომზადებაში ყოველგვარ დახმარებას გაუწევენ მრევლის წევრებს.

დაე, ღმერთმა გვიმრავლოს ასეთი სასიქადულო მამულიშვილები და მრავალი შესანიშნავი დღე გვაჩუქოს, რომელიც ჩვენი ეკლესიის ისტორიაში ჩაიწერება.

ელზა ზუბაშვილი

საიუბილეო დღეები ახალციხეში

16 სექტემბერს, თბილისის მარიამის ზეცად აღყვანების საკათედრო ტაძარში დაწყებული მიხეილ თამარაშვილის გარდაცვალებიდან 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიება **12 ოქტომბერს**, ახალციხეში გაგრძელდა.

ამ დღეს ახალციხის მოსახლეობა და მოწვეული სტუმრები ორ შესანიშნავ თარიღს დღესასწაულობდნენ: მიხეილ თამარაშვილის გარდაცვალებიდან 100 და ახალციხის I საჯარო სკოლის (სადაც მიხეილ თამარაშვილიც სწავლობდა) 180 წლისთავს.

შემოდგომის თბილი, მზიანი დილა გათენდა. სისხამ დილით, ორი ავტომანქანით გავემგზავრეთ თბილისიდან ახალციხისკენ, თან გვახლდა ამიერკავკასიის ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორი, ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო. 11 საათზე უკვე სკოლის ეზოში ვიყავით. ახალციხის მოსახლეობა და სკოლის მოსწავლეები ჟრიამულითა და სიხარულით შემოგვეგებნენ, ჩვენს შესახვედრად გამოეშურნენ მამა ზურაბ კაკაჩაშვილი და მესხეთის კათოლიკური საკრებულოების მრევლის წევრები.



ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო

ეპისკოპოსი თეოდორე ჭუაძე

ნოდარ სურგულაძე

სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა მაკა ჯანაშვილმა შენობაში მიგვიპატიჟა და მეორე სართულზე მდებარე დარბაზში შეგვიძღვა, დარბაზი უკვე სავსე იყო საპატიო სტუმრებით. აქ დაგვხვდნენ ახალციხის, ტაო-

ზეიმი თეატრალური კომპოზიციით დაიწყო, რომელსაც სკოლის მოსწავლეები ასრულებდნენ.

ქალბატონმა მაკამ ყველას მიულოცა ორი უდიდესი მნიშვნელობის საიუბილეო დღე. მან ისაუბრა სკოლის ისტორიაზე: სკოლა 1831 წელს დაარსდა. სწორედ აქ აღიზარდნენ ისეთი გამოჩენილი ქართველი კათოლიკე მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები, როგორებიც არიან მიხეილ თამარაშვილი, პეტრე ხარისჭირაშვილი, ივანე და კონსტანტინე გვარამაძეები, ელენე დიდიმამიშვილი, შოთა ლომსაძე

▶ 10 გვ.

◀ 9 გვ.

და სხვები. ქ-ნმა მაკამ განსაკუთრებული მოწიწებით ისაუბრა მიხეილ თამარაშვილის პიროვნებაზე, სამშობლოს წინაშე მის დიდ ღვაწლზე. აქვე გაიხსენა სკოლის ყოფილი დირექტორები, რომლებმაც დიდი ამაგი დასდეს სკოლის აღორძინება-განვითარებას და საზოგადოებას წარუდგინა ღვაწლმოსილი პიროვნებები.

მეუფე თეოდორემ ყველას მიულოცა სკოლის 180 და თამარაშვილის 100 წლის იუბილე და ისაუბრა სამშობლოს წინაშე მიხეილ თამარაშვილის დიდ დამსახურებაზე; მან სკოლის მოსწავლეებს შეახსენა, რომ არასოდეს დაივიწყონ თავიანთი დიდი თანამემამულე და უდიდესი პიროვნება, მისდიონ მის კვალს და იყვნენ ღირსეული მემკვიდრენი დიდი მიხეილისა.

ეპისკოპოსმა ჯუზეპე პაზოტომ ისაუბრა მიხეილ თამარაშვილზე, როგორც კათოლიკე მღვდელზე, აგრეთვე იმაზე, რომ სწორედ მისი ღვთისმოსაობა და რწმენა იყო ის ძირითადი მამოძრავებელი ძალა, რომელმაც შეაძლებინა მას, გაეწია ტიტანური შრომა და შეექმნა ისეთი მეცნიერული ნაშრომები, რომელთა მნიშვნელობა საუკუნეებს გასწვდება. სწორედ ამ რწმენით გასწირა მან თავი მოყვასისათვის და ამ სამსხვერპლოზეც წარმოჩინდა მისი გმირული და კაცთმოყვარე სული.

ბატონმა ნოდარ სურგულაძემ დამსწრე საზოგადოებას მიულოცა ორი ღირსშესანიშნავი თარიღი და წაიკითხა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, ბატონ დიმიტრი შაშკინის მისალოცი წერილი. ბატონმა ნოდარმა სკოლის ორ წარმატებულ მოსწავლეს – ჯემალ მაკარიძესა და თათია კოტაძეს საჩუქრად პერსონალური კომპიუტერები გადასცა.

ამაღელვებელი იყო ამ სკოლის ორი მხცოვანი დირექტორის მოგონება. მათ ხომ თითქმის მთელი ცხოვრება სკოლასა და ბავშვებს მიუძღვნეს.

მისალოცი სიტყვით გამოვიდნენ: ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგებელი, ბატონი გელა დემეტრაძე, პროფესორი მურმან პაპაშვილი და სპეციალურად ამ დღისთვის ჩამოსული, ახალციხის ყოფილი თავკაცი, ბატონი ამირან მექვაბიშვილი, ახალციხის მე-5 საჯარო სკოლის დირექტორი, ქალბატონი ჟენია მერაბიშვილი. ქალბატონმა მანანა ანდრიაძემ, სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის სახელით, სკოლას საჩუქრად გადასცა უნივერსიტეტის მიერ გამოცემული წიგნები.

საზეიმო ვითარებაში გაიხსნა მიხეილ თამარაშვილის სტენდი, რომელიც სკოლას უსახსოვრა კათოლიკური ეკლესიის კულტურისა და თამარაშვილის საიუბილეო კომისიამ.

მიხეილ თამარაშვილისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიება **14 საათზე ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში** გაგრძელდა, სადაც დაგეგმილი იყო მიხეილ თამარაშვილისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია.

კონფერენცია გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა თინა გელაშვილმა, რომელმაც ისაუბრა მიხეილ თამარაშვილის პიროვნებასა და მის მეცნიერულ ნაშრომებზე. კონფერენციის მონაწილეებს მიესალმნენ: ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის ეპარქიის მიტროპოლიტი, მეუფე თეოდორე, კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორი, ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო, პრეზიდენტის რწმუნებული სამცხე-ჯავახეთის მხარეში, ბატონი ლაშა ჭკადუა, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგებელი გელა დემეტრაძე, ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი, ქალბატონი ვიოლეტა ბალახაშვილი.

▶ 11 გვ.

ახალციხის სასწავლო უნივერსიტეტში

კონსტანტინოპოლის პატრიარქი ფოტიოს I

(დასასრული, დასაწყისი „საბა“ №7-10)



ორი საეკლესიო კრების – 869-870 წწ. და 879-880 წწ. – ბედი

ორი კრება – არა მხოლოდ განსხვავებული, არამედ ურთიერთსაპირისპირო შედეგებით, ფორმალური თვალსაზრისით, ნიკეის II კრების ფონზე, შეიძლება შეფასდეს, როგორც ეკუმენური; ეს ორი ეკუმენური კრება, პირველად ისტორიაში, შეეხო არა დოგმატურ საკითხებს, არამედ პერსონალურს, რაც ეკლესიის ისტორიაში უნიკალურია. ამ ორი კრების ეკუმენურობის საკითხს დასავლეთსა და აღმოსავლეთში სრულიად განსხვავებულად უდგებოდნენ. დასავლეთში ეკუმენურად აღიარეს 869-870 წლების კრება, ხოლო 879-880 წლების კრება სულ სხვაგვარად მიიღეს; აქ დასჯერდნენ იმას, რასაც 21-ე კანონი განსაზღვრავდა, რომ არც წერილობით, და არც სიტყვიერად არ დაპირისპირებოდნენ რომის პაპს, არ გამოეთქვათ საკუთარი სენტენციები პონტიფექსის წინააღმდეგ. მართალია, თავიდან რომში ამ კრებას ეკუმენურად მიიჩნევდნენ, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა; მაგალითად, პატრიარქ მიხეილ I-კერულარიუსის შეჩვენების ბულაში, 1054 წელს, VIII ეკუმენური კრება არ მოიხსენიება. მისი საბოლოო აღიარება უსათუოდ უკავშირდება აღმოსავლური და დასავლური ეკლესიის თანდათანობით გაყოფას, რომელიც კულმინაციას აღწევს 1054 წელს. აღმოსავლეთში, როგორც ცნობილია, 869-870 წლის კრების აღიარებას არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა, იგი VIII ეკუმენურ კრებად აღიარეს ეგნატეს მეორე პატრიარქობის დროს (870-877), შემდეგ კი 879-880 წლების კრებაზე, როცა ეგნატე ბრალდებულად ცნეს, მის მიერ გამოცემული აქტები გაანადგურეს და მისი კანონები არც ერთ კოლექციაში არ შეინახეს. მიუხედავად იმისა რომ აღმოსავლური ეკლესია ეკუმენურად მხოლოდ 7 კრებას თვლის, ეკუმენურად წოდებული 879-880 წლების კრება მეტად წარმატებული აღმოჩნდა; მაგრამ აღმოსავლეთში არასდროს გამოუჩენიათ ერთსულოვნება ამ წლების კრების ეკუმენურად აღიარების დროს. მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ რამდენად არის ეკუმენური ის კრება, რომელმაც ფოტიოსი დაგმო, რადგანაც ფოტიოსისადმი ნეგატიური დამოკიდებულების გამო კრება ეკუმენურად ვეღარ ჩაითვლებოდა. ამ კრებასთან (რომელიც აღმოსავლეთმა არ აღიარა) დაკავშირებით, ფ. დვორნიკი (Dvornik) შემდეგს წერს: „ამრიგად, ჩვენ, განსაცვიფრებელი შედეგებით, – ყოველ შემთხვევაში, ერთი შეხედვით მაინც, – გავედით მერვე ეკუმენურ კრებაზე წარმოებული კვლევების ფონს. რომის ეკლესიამ 869-870 წლების კრება არ ჩათვალა ეკუმენურად.“

ამ გარემოებამ დასავლურ სამყაროში წარმოშვა ლეგენდა ფოტიოსზე, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიის გაყოფაში; ფოტიოსის სიკვდილის შემდეგ, პირველ ხანებში, დასავლეთში მისი სახელის ხსნებაც კი არ იყო! პაპ კლემენტე IV-ის 1267 წ. 14 სექტემბრით დათარიღებული წერილი კარგად წარმოაჩენს XIII საუკუნის დასავლეთში გავრცელებულ ვერსიას იმის შესახებ, რომ ფოტიოსის პერსონა ჩრდილში იყო მოქცეული. ჩანს, რომ პაპმა არაფერი იცოდა რომის მიერ ფოტიოსის მეორედ დასჯაზე, ყოველ შემთხვევაში, იგი მასზე არაფერს ამბობს. ამგვარმა ნეგატიურმა აზრმა XVI საუკუნიდან მოიკიდა ფეხი. საკითხი, რომელიც ფ. დვორ-

ნიკის მიერ სიღრმისეულად იქნა შესწავლილი, ყველაზე ობიექტურად ითვლება; აქ ნაჩვენებია, რომ მხოლოდ 1595 წელს, ლათინურ გარემოში, რომის კონგრეგაციის მიერ დადგინდა ეკუმენური კრებების შესაბამისი სია, რაც ასევე მოიცავდა შუა საუკუნეების კრებებსაც, სადაც აღმოსავლელები არ მონაწილეობდნენ. ამგვარად, ფლორენციის კრება, რომელიც, სხვათა შორის, ითვლებოდა „მერვე ეკუმენურ“ კრებად, გახდა მეთექვსმეტე, რადგან თუ ფლორენციის კრება მერვედ ჩაითვლებოდა, 869-870 წლების კრება მერვე ვეღარ იქნებოდა. ეკუმენური კრებებისთვის მისი მიკუთვნება XI და XII საუკუნეების ლათინი კანონისტების გადაწყვეტილება იყო; დასავლურ თეოლოგიაში ნელ-ნელა იკიდებდა ფეხს სქიზმის დოქტრინა. წყდებოდა რა აღმოსავლეთის ეკლესიების თანაზიარება რომის სამოციქულო საყდართან, ის ვალდებული იყო, მასთან ერთობაში დარჩენილ ეკლესიებთან ერთად, გაეგრძელებინა საკუთარი გზა depozitum fides (სარწმუნოების საგანძურის) დასაცავად, თუნდაც მთელი აღმოსავლური ქრისტიანობის გარეშე. დვორნიკი ჩასწვდა იმ მოტივებს, რამაც ხელი შეუწყო ფოტიოსზე შავბნელი ლეგენდის გავრცელებას. „საბოლოოდ, ხანგრძლივი ძიების შემდეგ, ვიპოვეთ

კარდინალი ბარონიო

ის, ვინც ნამდვილი პასუხისმგებელია ფოტიოსზე შექმნილი ლეგენდისა: ეს კარდინალი ბარონიოა“. მიუხედავად ამისა, არ უნდა დაგვავიწყდეს ის, რომ კარდინალზე ზეგავლენა მოახდინა მერვე კრების ეკუმენურად აღიარებამ, შუა საუკუნეების კლიმატმა, ეპოქამ, სადაც პაპის როლი და ძალაუფლება განუწყვეტლივ იზრდებოდა, და იმ ფაქტმა, რომ მას სამართლიანად უნდა დაეცვა უმაღლესი პონტიფექსის ავტორიტეტი პროტესტანტების შეტევებისა და დამცირებისაგან. ყველაფერი, რაც ბარონიომ დაწერა პატრიარქ ფოტიოსზე, როგორც ეს მტკიცედ სჯეროდათ, წმინდა სიმართლე იყო. „ამ ხანგრძლივი კვლევის შედეგად, შეგვიძლია დავინახოთ ის შემწყნარებლური დამოკიდებულება, რომელიც კონსტანტინოპოლში სუფევდა 920 წელს, როდესაც უკანასკნელი გამოხმაურება ფოტიოსის ირგვლივ ატეხილ აურზაურზე და ლეონ VI-ის ტეტრაგრამაზე მიჩუმათდა რომაელი იმპერატორის ლაკაპენოს (Lacapeno) და პატრიარქ ნიკოლოზ მისტიკოსის (Nicola il Mistico) წინამძღოლობით შემდგარი კრების გადაწყვეტილებებით. მას შემდეგ, რაც ორ დაპირისპირებულ მხარეს შორის შედგა შერიგების აქტი, რომელიც ცნობილია Tomus Unionis სახელით, მამებმა, თავიანთი ერთობლივი გადაწყვეტილებით, წერტილი დაუსვეს ყველა უთანხმოებასა და სქიზმას. ასეთმა მშვიდობიანმა ფინალმა იმხელა შთაბეჭდილება მოახდინა მორწმუნეებზე, რომ მართლმადიდებელი ეკლესია ამ მოვლენას საუკუნეების მანძილზე იხსენებდა კვირის ლიტურგიაში. ეს არის ერესზე და ხატმებრძოლეობაზე აღმოსავლური ეკლესიის საბოლოო გამარჯვების მოსაგონარი. სავარაუდოდ, თუკი შეფასდება 869-870 წლების კრების ეკუმენურობა, ფოტიოსის ფიგურაც სრულიად განსხვავებული კუთხით წარმოჩინდება; ამ წლების კრების ეკუმენურობაზე გამართული დისკუსიები ჯერ კიდევ არ დასრულებულა და ეს დამოკიდებულია საეკლესიო კონცეფციაზე. ისტორია, თავისი ფაქტებით, არ იცვლება, თუმცა დაუჯერებელი არაფერია იმაში, რომ თუკი ოდესღაც ისევ დამყარდება თანაზიარება აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიებს შორის, ცალკეული კრებების ეკუმენურობის აღიარებაც თავიდან მოხდება, ასევე, მათი კონცეფცია და ნუმერაცია.

რა შეიძლება ითქვას პაპ თეოდორე II-ზე, რომელიც აღიარებულია, როგორც ფოტიოსის შვილი? Histoire et légende- ში (Paris, 1950) არ მოიპოვება ინფორმაცია იმ პიროვნებაზე, რომელიც შემდგომში პაპ თეოდორე II-ის სახელით მოგვევლინა, ხოლო ყველაზე სერიოზული იტალიური ენციკლოპედიის La Treccani-სა და ვიკიპედიის მიხედვით ეს შესაძლო ფაქტადაა წარმოდგენილი. როგორ შეძლო რომის ეკლესიის მიერ შეჩვენებულის

შვილმა, გამხდარიყო პაპი? განა არ არის ეს პარადოქსი და ბედის ირონია? თუ ეს ამბავი მცდარია, მაშინ საკითხავია, რატომ გავრცელდა იგი? ვინ მოიგონა ეს ისტორია, და რა მიზეზით? თუკი ამ საკითხის შესახებ არსებულ უფრო ზუსტ და დასაბუთებულ ინფორმაციაზე ვინმეს მიუწვდება ხელი, მზად ვართ, მივიღოთ და მოვისმინოთ.

ამ პერიოდის (და არა მარტო!) ბიზანტიის პატრიარქების, და ასევე რომის პაპების, ისტორიიდან ჩანს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ეკლესიის ცხოვრებისთვის ახალი პატრიარქის არჩევისას სხვა ეკლესიების მხრიდან თანხმობას. რომის ეპისკოპოსიც აუწყებდა სხვა ეკლესიებს მოსალოდნელი არჩევნების შესახებ; რატომ მიეცა ამხელა მნიშვნელობა ამ ჟესტს (სხვა პატრიარქების თანხმობას), რომელიც ზოგჯერ დაუსრულებელ კამათსა და უთანხმოებას იწვევდა? ნუთუ პრობლემა მხოლოდ კონკურენციაში, პოლიტიკურ დაუმორჩილებლობაში, საკუთარი ძალაუფლების ძიებასა და დაცვაში, ან ქედმაღლობაში იყო? შეიძლება ვიკითხოთ: ეს ჟესტი ტრადიციისადმი მორჩილების კანონიკური ფაქტორი გახლდათ მხოლოდ იმისთვის, რომ გვცოდნოდა, ვინ იყო ნამდვილი პატრიარქი, ან ნამდვილი პაპი,... თუ სხვა ეკლესიებთან ჭეშმარიტი თანაზიარების სურვილი, რაც ასევე მიუთითებდა ლეგიტიმურობის, შეუცდომლობის საჭიროებაზე? განა ეკლესიას არ უნდა დაეცვა თავი ადამიანური არჩევანის ცდომილებისაგან? ახალი მემკვიდრის კანონიკურობა როგორც დასავლეთში, ასევე აღმოსავლეთში, ეჭვქვეშ არ იდგა, რადგანაც ყველაფერი, რასაც პატრიარქი აკეთებდა, არა მხოლოდ კანონიკურად იყო სარწმუნო და მისაღები, არამედ სამოციქულო და საეკლესიო ტრადიციითაც. ნუთუ არჩევნების შედეგად ერთხმად მიღებული გადაწყვეტილება არ უნდა ყოფილიყო საკმარისი იმისთვის, რომ საეკლესიო აქტის შეუცდომლობაში დავრწმუნებულიყავით, გვერწმუნა, რომ სულიწმიდის მადლით ქრისტე მყოფობს თავის წმიდა ეკლესიაში, დამოუკიდებლად იმ არჩევანისა, რასაც შემდგომ ახლად არჩეული გააკეთებდა? ასევე, უნდა დავფიქრდეთ პატრიარქის მიერ საეპისკოპოსო ხელდასხმებზე, თუ რამდენი პრობლემა მოჰყვებოდა მას; როცა საქმე პატრიარქის კანონიკურობას შეეხებოდა, მის მიერ ხელდასხმულთა კანონიერებაც მაშინვე ეჭვქვეშ დგებოდა. მის გადაწყვეტილებებს ვერ უგულებელყოფდა კრება, თუკი პატრიარქი ლეგიტიმურად იქნებოდა არჩეული; მაგრამ, საპირისპირო შემთხვევაში, თუ კრება, ჯერ მის ლეგიტიმურობას აღიარებდა და შემდეგ შეაჩვენებდა, ყველა მისი გადაწყვეტილება ანულირდებოდა. ამ მიზეზების ფონზე, რაც ზოგჯერ ასე გულსატკე-

იმპერატორი ლეონ VI

ნია, უადგილოდ არ მეჩვენება, რომ, ლეგიტუმურობის საკითხთან ერთად, დადგეს შეუცდომლობის პრობლემაც. მავანი გამოცხადდებოდა ლეგიტუმურად, როცა, პირდაპირი ან ირიბი გზით, შეუცდომლად აღიარებდნენ მის მსახურებას.

რომის ეკლესიამ ვატიკანის I კრებაზე, 1870 წელს, საჯაროდ განაცხადა ის, რაც ჯერ კიდევ ბუნდოვანია სხვა ეკლესიებისთვის, ანუ ლეგიტიმურობის მნიშვნელობა, რამდენადაც იგი თვითმიზანი არ გახლავთ; რა საჭიროა იმის ცოდნა, იყო თუ არა მავანი კანონიკურად არჩეული, და არის თუ არა ამა თუ იმ ეკლესიის კანონიერი პატრიარქი, თუკი შემდგომში მის ლეგიტიმურობაში ნაგულისხმები არ იქნება საჯარო აქტების შეუცდომლობა, ეკლესიის სახელით და ეკლესიის მსახურებაში; აქ თავისთავად გასაგებია, რომ ლეგიტიმურობა გულისხმობს იმ შეუცდომლობას, რაც ქრისტემ აღუთქვა თავის ეკლესიას და თავის მწყემსებს; ეკლესიამ უნდა იცოდეს, არის თუ არა პატრიარქი ან პაპი ლეგიტიმური, რათა ეკლესიის მსახურებაში ქრისტემ მიანიჭოს მას აღთქმული შეუცდომლობა; ლეგიტიმურობასა და შეუცდომლობას ცალ-ცალკე ვერ განვიხილავთ; ლეგიტიმურობა შეუცდომლობაზე მაღლა არ დგას, და ვერც შეუცდომლობა იქნება ლეგიტიმურობის გარეშე; რაკი ლეგიტიმურია, ნიშნავს, რომ შეუცდომელია. აღმოსავლეთში უფრო მეტად სჯერათ შეუცდომლობის, თუნდაც ეს დოგმად არ იყოს გამოცხადებული, როგორც მრავალი სხვა რამ; მაგალითად, მარიოლოგია, სხვა რელიგიების წარმომადგენლებთან დიალოგი.... როდესაც სხვა ეკლესიებისა და რელი-

პაპი კლემენტე IV

გიების სწავლებას არასრულფასოვნად და მცდარად თვლი, ხომ არ მეტყველებს ეს იმაზე, რომ საკუთარ აზრს შეუცდომლად მიიჩნევ იმ ავტორიტეტის ძალით, რომელიც ეკლესიის სახელით მოქმედებს? მართალია, კათოლიკე ეკლესიამ დოგმად გამოაცხადა პეტრეს მსახურის შეუცდომლობა, მაგრამ სინამდვილეში მას ამის ნაკლებად სჯერა (in realta' lo crede di meno). მართლაც, რაში მჭირდება იმის ცოდნა, რომ ესა თუ ის პატრიარქი ლეგიტიმურად იყო არჩეული და აღიარებული, ხოლო მისი აქტები შესაძლოა იყოს ყალბი, მცდარი? რატომ უნდა დავხარჯო დრო და ენერგია იმის გასაგებად, ვინ არის ლეგიტიმური პატრიარქი, თუკი შემდეგ ვერ გავარჩევ მის მიერ მიღებული აქტების კანონიერებასა და არაკანონიერებას? თუკი ვატიკანის I კრება დოგმად აღიარებს პაპის შეუცდომლობას, ხომ არაა ეს დაკავშირებული ნამდვილი პატრიარქის ლეგალურობის აუცილებლობასთან? შეუცდომლობა ითხოვს კანონიკურობას; ყოვლად აუცილებელია იმის ცოდნა, თუ ვინ არის ნამდვილი თავი ეკლესიისა, რადგანაც სწორედ მასზე იქნება დამოკიდებული ზოგიერთი ქმედების შეუცდომლობა. შეიძლება ვიკითხოთ: ასეთი მნიშვნელოვანი იყო: ბიზანტიისთვის ლეგიტიმურობა და კანონიკურობა, რომისთვის კი: შეუცდომლობა? ზოგჯერ იმ ექსტრემალურ სიტუაციაში, როცა გამოწვლილვით იკვლევენ აღმოსავლეთშიც და დასავლეთშიც საპატრიარქო ტახტის მეთაურის ლეგიტიმურობას, რათა წინ წამოსწიონ შეუცდომლობა, ანგარიშგასაწევი და საყურადღებოა, რომ არ დაგვავიწყდეს ეს კითხვა: ვის ეყრდნობა ქრისტეს ეკლესია? ეს არ არის არც პატრიარქი, და არც პაპი, ეს ქრისტეა თავისი სულიწმიდის უცდომელი მადლით. მხოლოდ ლეგიტიმურობაზე ყურადღების გამახვილებამ შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ ეკლესია ქრისტეს გარეშეც იარსებებს. შეუცდომლობის გამოცხადება შეგვახსენებს ქრისტეს უზენაეს საჭიროებას, რომელიც გარანტია არა მხოლოდ კანონიკურობის, არამედ თავისი ეკლესიისა და მისი მწყემსების შეუცდომლობისა!“

ფოტიოსი და მარიამის სულიერი მშვენიერება

ფოტიოსი მარიამს ღვთისაგან რჩეულ ქალბატონად განჭვრეტს. ქალწულის არჩევანი უბრალოდ ღვთის ნება როდი იყო, ეს პიროვნული „დამსახურებაც“ გახლდათ. მარიამის სულიერი მშვენიერება მას შეუდარებლად აქვს აღწერილი:

„მეტისმეტად საჭირო იყო, რომ შემოქმედის დედა იმად წარმოსახულიყო, ვინც აკვნიდანვე, იდუმალი მიზეზით, წმიდად შემოინახავდა თავის სხეულს, უმანკოდ თავის სულს, უმწიკვლოდ თავის ზრახვებს... საჭიროება მოითხოვდა, რომ იგი, სათნო, ლამის ვარსკვლავთა ტოლი, ცის სადარი გამხდარიყო და ყველა მორწმუნის წინაშე წარმდგარიყო წუთისოფელში სიმართლის მზის მომავლინებლად.“

შობის შესახებ, ქადაგება, 10 (1)

„ქალწულმა წყალობა ჰპოვა ღვთის თვალში, რამეთუ ღირს ჰყო თავი თვისი შემოქმედის წინაშე. თვისი სული თვისივე წმიდა მშვენიერებით შეამკო და ღირსეული სამკვიდრო გახდა მისთვის, ვინც ყოველივე ზეციერი სიტყვით შეჰქმნა; სიყრმიდანვე შესწირა ღმერთს თავი თვისი ცოცხალ და ხელუყოფელ, დიდების მეფისთვის აღშენებულ ტაძრად. მან მიიღო შეწევნა ღვთისაგან არა ოდენ ქალწულებრივი უმანკოების გამო, არამედ თვისი ნების უბიწოდ დაცვის, თავისი სხეულის სიწმინდის, უბადლო ბრწყინვალების, ხელშეუხებელი უმანკოების, თავისი მზაობის, უდიდესი სიწმინდის, კეთილისადმი მიდრეკილი და ცოდვის წინაშე უმანკოდ დარჩენილი თავისი სულის გამო“.

ხარების შესახებ, ქადაგება, 4 (2)

მოამზადა
მამა გაბრიელე ბრაგანტინიმ

საიუბილეო დღეები ახალციხეში

◀ 10 ᲒᲗ.

საინტერესო მოხსენებები წარმოადგინეს მეცნიერებმა: ციური ლაფაჩმა, მურმან პაპაშვილმა, ნატო ყრუაშვილმა, ნესტან სულავამ, მერაბ ბერიძემ, ცირა მესხიშვილმა, რომან გოგოლაურმა, ნანა მაისურაძემ და თინა იველაშვილმა. ამ უკანასკნელის წინადადებამ, რომ მიხეილ თამარაშვილს, სამშობლოს წინაშე დიდი დამსახურებისა და სხვისი სიცოცხლისათვის საკუთარი სიცოცხლის გაწირვის გამო, გმირის წოდება მიანიჭონ, დარბაზში მსხდომთა დიდი გამოხმაურება და მოწონება დაიმსახურა. ბოლოს, მსმენელთა წინაშე წარსდგა თამარაშვილის მემკვიდრე, ბატონი ანზორ თამარაშვილი, რომელმაც წინაპართაგან მოსმენილი და საკუთარი მოგონებები გაუზიარა კონფერენციის მონაწილეებს.

ახალციხის პირველი სკოლის მოსწავლეები

ბატონმა მურმან პაპაშვილმა სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ გამოგზავნილი წიგნები გადასცა საჩუქრად ახალციხის სასწავლო უნივერსიტეტს.

დღის ბოლოს, 18 საათზე მესხეთის სახელმწიფო თეატრში გაიმართა საზეიმო კონცერტი. პირველი საჯარო სკოლის მოსწავლეებმა საინტერესო თეატრალური დადგმა წარუდგინეს მაყურებლებს. მღეროდა და ცეკვავდა სკოლის მომღერალთა გუნდი და ქორეოგრაფიული ანსამბლი, ხოლო თამარაშვილის ერთ-ერთი მემკვიდრის, ზაზა თამარაშვილის ხალხური სიმღერის ანსამბლის მიერ შესრულებულმა სიმღერებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

საიუბილეო ღონისძიება გვიან ღამით დასრულდა საზეიმო ბანკეტით.

ახალციხელებმა სათანადო პატივი მიაგეს თავისი კუთხის მკვიდრს, მამა მიხეილ თამარაშვილს, რომელმაც ევროპას გააცნო საქართველოს ჭეშმარიტი ისტორია და შთამომავლებს უდიდესი განძი დაუტოვა თავისი შემოქმედების სახით, ღვთისმოსაობითა და პიროვნული თვისებებით კი მისაბაძი გახდა მომავალი თაობებისთვის.

18 ოქტომბერს მიხეილ თამარაშვილის გარდაცვალებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებათა ფარგლებში, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია, რომლის ორგანიზატორები იყვნენ სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. კონფერენციის დასაწისში დამსწრე საზოგადოებას მიესალმა ტექნიკური უნივერსიტეტის პრორექტორი, რომელიც რამდენიმე სიტყვით შეეხო მამა მიხეილ თამარაშვილის როლს საქართველოს ისტორიაში. ასევე, მოკლე სიტყვით გამოვიდა ამიერკავკასიის ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორი, ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო, რომელმაც ხაზი გაუსვა მამა მიხეილ თამარაშვილის როლს საქართველოს კათოლიკური, და არა მხოლოდ კათოლიკური, ეკლესიის განვითარების ისტორიაში.

კონფერენციაზე სულ თერთმეტი მომხსენებელი წარსდგა, რომელთაც კიდევ ერთხელ გაგვახსენეს მიხეილ თამარაშვილის პიროვნება და მისი მოღვაწეობა. მოვისმინეთ შემდეგი მოხსენებები: „მიხეილ თამარაშვილის სამეცნიერო მემკვიდრეობა“ – ზურაბ გამეზარდაშვილი; „ერთი ეპიზოდი მიხეილ თამარაშვილის ბიოგრაფიიდან“ – ვაჟა კიკნაძე; „მიხეილ თამარაშვილის გარდაცვალება და პანაშვიდი საქართველოს პრესის მიხედვით“ – ნუგზარ პაპუაშვილი; „მიხეილ თამარაშვილი და კათოლიკური ეკლესია საქართველოში“ – ნუგზარ ბარდაველიძე.

კონფერენციას, სხვა მოწვეულ სტუმრებთან ერთად, ესწრებოდნენ მიხეილ თამარაშვილის მემკვიდრეები, ანზორ თამარაშვილი და ნოდარ ხითარიშვილი, რომლებმაც, კონფერენციის დასასრულს, მოგონებები გაუზიარეს დამსწრე საზოგადოებას თავიანთი სახელოვანი წინაპრის შესახებ.

ციცინო ხითარიშვილი

ექვსი შეკითხვა ლოცვის შესახებ

5. რა დაგვეხმარება ლოცვისას?

უმჯობესია იმთავითვე უმაღლესი მწვერვალიდან დაწყება. ღმრთაებრივად შთაგონებული, უცდომელი და განცხადებული სიტყვა ღმრთისა საუკუნეების განმავლობაში ეხმარება ადამიანებს ლოცვისას. თვით ბიბლიის კითხვაც კი უკვე თავისთავად ლოცვაა, როცა ამ წიგნს გააზრებულად, მჭვრეტელობითად კითხულობენ. ბიბლიის ყოველი სიტყვა, წინადადება, აბზაცი თუ თავი შესასწავლად და განსაჭვრეტადაა მოცემული.

ძველთაგანვე ებრაელები და ქრისტიანები ბიბლიური ფსალმუნებით ლოცულობდნენ. საიდანაც არ უნდა იქნეს ისინი ამოკითხული, – თუნდაც ყოველდღიური ლოცვების წიგნიდან (ჟამნიდან), თუნდაც უშუალოდ ბიბლიიდან, – ფსალმუნთა კითხვა საუკეთესო ლოცვაა.

სახარებები ქრისტეს სიტყვებსა და საქმეებს მოიცავს. ამდენად, მათი მჭვრეტელობითი კითხვა, – იქნება ეს მათეს, მარკოზის, ლუკასა თუ იოანეს სახარება, – ასევე შესანიშნავი ლოცვაა და განამტკიცებს მორწმუნე ადამიანის ლოცვითს ცხოვრებას. რაც უფრო მეტად ვკითხულობთ წმიდა წერილს და ვიყენებთ მას ლოცვისას, მით უკეთესად შევიცნობთ ღმერთს, რადგანაც ჩვენ ამ დროს მის სიტყვებს ვკითხულობთ.

ბევრი არაკათოლიკისათვის ძნელი ჩასაწვდომია სავარდის ლოცვა, რადგან, ერთი შეხედვით, ის მხოლოდ განმეორებითი ლოცვის შთაბეჭდილებას ტოვებს. მართალია, იესო საჭიროდ არ მიიჩნევდა ლოცვათა გრძელ წყებას, მაგრამ

„როგორ მოვემზადეთ 2011 წლის აღდგომისათვის?“

ამ ლიტურგიული წლის დასასრულს, რომლის განმავლობაშიც, დიდმარხვის ჟამს, საუფლო ლოცვაზე მოგვიწია დაფიქრება, რაშიც ჩვენი ეპისკოპოსის, მონს. ჯუზეპეს მიერ მომზადებული კატეხიზმო დაგვეხმარა, სურვილი მაქვს, თითქმის მთლიანად შემოგთავაზოთ მოსაზრება, რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალში „La vita in Cristo e nella Chiesa“ (*ცხოვრება ქრისტესა და ეკლესიაში*) სათაურით: ***„მამაო ჩვენო ეკლესიის მამებისა და კრებების თვალით“***. ეს მოსაზრება გარკვეულ დახმარებას გაგვიწევს ჩვენი ქრისტიანული გზის სწორად შეფასებაში. ამასთანავე, მინდა, ერთი პირობაც წამოგიყენოთ: კითხვის დროს, მიმართვა „მამაო ჩვენო“ ჩაანაცვლეთ მიმართვით „უფალო იესო“; რატომ? – იკითხავთ თქვენ. იმიტომ რომ უფრო მეტი მოწიწება გამოვიჩინოთ ჩვენთვის იმ ესოდენ ძვირფასი სახელის მიმართ, რითაც ღმერთს მივმართავთ, რომელიც არასდროს უნდა წარმოვთქვათ ფუჭად და ამაოდ, და ბანალურად არ ვაქციოთ მისი მშვენიერება, არსი, სიწმინდე. თვით ებრაელებიც, და იესოც, როდესაც *ძველი ათქმის* წიგნებს კუთხულობდნენ, იქ, სადაც მოსეს წინაშე, მაყვლოვანში, გაცხადებული ღვთის სახელი იყო დაწერილი (IHVH), მას სხვა სახელით ანაცვლებდნენ (ადონაი, საბაოთ); სადღაც დაიწერა, რომ უფალ იესოს ლოცვა მამისადმი, როგორც ეს მათესა (რომლის სახარებაც მთელი ამ ლიტურგიული წლის მანძილზე გვიწევდა მეგზურობას) და ლუკას სახარებაშია გადმოცემული, არ გამხდარა მოციქულთა ეპოქის დროინდელი ეკლესიისა და ქრისტიანების ლოცვა, რადგანაც მოციქულთა საქმეების წიგნში, მათ ეპისტოლეებში ამაზე არასოდეს გაცემულა მოწმობა. თუკი, პირველი საკრებულოს ქრისტიანები „მამაო ჩვენო-“ს ისე ხშირად არ წარმოთქვამდნენ, როგორც ჩვენ წარმოვთქვამთ, ეს ფაქტი ხომ არ მიანიშნებს ამ ლოცვის მიმართ უდიდეს მოწიწებაზე, ლოცვისა, რომელსაც ჯერ კიდევ არ მიეღო ის სახელწოდება, რითაც ჩვენ დღეს მას მოვიხსენიებთ? კიდევ ერთი მოსაზრება, რასაც, ჩემი აზრით, ანგარიში უნდა გავუწიოთ: ის სიტყვა, რითაც ღმერთთან დიალოგში შევდივართ, უბრალო ხატოვან ფრაზად, ან მისამღერად არ უნდა იქცეს; მოწაფეები იესოს სთხოვენ არა ფორმულას, არამედ ლოცვის ფორმას: „გვასწავლე ლოცვა“; თუკი იმ მომენტზე დავფიქრდებით, როდესაც ვინმე ოჯახში, კატეხიზაციაზე, ეკლესიაში, ან სხვაგან გვეუბნება – *მოდით, ვილოცოთ „მამაო ჩვენო“*, აქცენტი აქ ღმერთთან, როგორც ლოცვის ობიექტთან, ურთიერთობაზე, მის მიმართ ლოცვაზე კი არ კეთდება, არამედ იმაზე, რომ აუცილებელია მისი ხშირად წარმოთქმა. მაშ, გამოხატავს კარგად ქრისტიანული ლოცვის სინამდვილეს ეს ფრაზები: *„მოდით, ვილოცოთ „მამაო ჩვენო“*, ან *„მივმართოთ ღმერთს იესოს ლოცვით“?* ალბათ, უკეთესი იქნებოდა, რომ ამ სტატიის სათაური ყოფილიყო „უფალ იესოს ლოცვა ეკლესიის მამებისა და კრებების თვალით“.

როდესაც შევეცადე, ეგზეგეტურ ნაშრომებსა და ექსპერტთა კვლევებში მამისადმი იესოს ამ ლოცვის შესახებ ახალი ინფორმაცია მომეპოვებინა,

ვერაფერი აღმოვაჩინე, გარდა იმისა, რაც უკვე არსებობდა. ყურადღება განსაკუთრებით გავამახვილე ლოცვის არამეულ ფორმაზე, ლოცვის უწყვეტობასა და სიახლეზე, ებრაულ ლოცვასთან შედარებით; შევეცადე, წამეკითხა ლოცვა – *მამაო ჩვენო*, „რომელი ხარ ცათა შინა“ – ასტროლოგიის ფონზე; ალბათ, საინტერესო იქნებოდა, კვლევა-ძიება მსოფლიო და ქართული ლიტერატურის, მას-მედიის, ახალგაზრდული ხედვის გათვალისწინებით რომ წარმოებდეს, რათა უფრო უკეთ დავინახოთ და გავიაზროთ ამ ლოცვის არსი; აქვე, **გისურვებთ ყურადღებით წაიკითხოთ და აქცენტი გადაიტანოთ მიმართვის ჩანაცვლებაზე!**

პირველ ქრისტიანთა ერთ-ერთი პირველი მოწმობა *მამაო ჩვენო*-ს, როგორც ყოველდღიური ლოცვის, შესახებ (გახსოვდეს, რომ ლოცვაში „მამაო ჩვენო-“ს უნდა ჩაანაცვლო „უფალო იესო“) მოცემულია დოკუმენტურ მასალებში, როგორიცაა *დიდაქე*, ანუ Doctrina Duodecim Apostolorum, რომელიც ჩვ. წ-აღ-ის 70-90 წლებში შეიქმნა. ეს ნაშრომი ყველაზე ახლოს დგას მოციქულთა ეპოქასთან და მასში მორწმუნეთა მიმართ გაისმის მოთხოვნა, რომ *მამაო ჩვენო* სამგზის წარმოთქვან ყოველდღე, ჩაანაცვლონ იგი ებრაული ლოცვის თვრამეტგზის კურთხევას; ეს წესი დამკვიდრდა „ყოველდღიური ლოცვის“ სახით. ასევე, ხელთა გვაქვს ეკლესიის მამათა მოწმობები, მათ შორის, ამბროსის, ავგუსტინეს, იოანე ოქროპირის, რომლებიც მორწმუნეებს ამ ლოცვის რაც შეიძლება ხშირად წარმოთქმისკენ მოუწოდებენ. წმიდა ავგუსტინე წერს: *„ყველა სიტყვა, რასაც ჩვენ წარმოვთქვამთ ლოცვით, უდავოდ გამოხატავს იმას, რაც ამ ლოცვაშია ჩადებული უფლის შეგონებით, თუკი მას წარმოვთქვამთ კარგად და საკადრისად,“* ასევე, *„ნამდვილი ლოცვა წარმოითქმება არა ხმით, არამედ გულით. ეს სიტყვები ჩვენ არ გვეკუთვნის, თუმცა ჩვენი სურვილები ჩვენს ვედრებას ძალას მატებენ. თუკი ბაგეებით მოვიხმობთ საუკუნო ცხოვრებას და ამას გულის სიღრმიდან არ ვისურვებთ, ჩვენი ძახილი მდუმარე იქნება. თუკი უხმოდ ვილოცებთ და გულის სიღრმიდან ვისურვებთ, ჩვენი მდუმარება ძახილად იქცევა“.* წმიდა ამბროსი თავის ტრაქტატში De Virginibus (ქალწულთა შესახებ), მონაზონებს ურჩევს, გაიმეორონ „მამაო ჩვენო“ ყოველი ფსალმუნის გალობის შემდეგ. ტერტულიანე (200-206წწ.) De oratione (ლოცვის შესახებ) –ში ამბობს, რომ *„საუფლო ლოცვა ნამდვილად სინთეზია მთელი სახარებისა“*, ამას მოსდევს ორიგენეს (231-252წწ.) „საუფლო ლოცვა“ და შემდგომ წმ. კვიპრიანეს, კართაგენის ეპისკოპოსისა და წამებულის, მოწოდება, რითაც იგი შეაგონებს ქრისტიანებს, რომ *„ქრისტეში იმყოფებიან, ანუ სინათლეში, რათა თვით ღამითაც არ დაშვრნენ ამ ლოცვის წარმოთქმისგან“.* წმ. კვიპრიანე „მამაო ჩვენო“-ს ქრისტიანთა უდიდეს ლოცვად თვლიდა, რამეთუ *„სიტყვები, რომელიც მისმა ძემ გვასწავლა, ზეციურ მამამდე აღზევდება“*. წმ. გიორგი ნოსელმა (335-395) ხუთი ქადაგება დაგვიტოვა *საუფლო ლოცვის შესახებ*, კომენტარებით, რომელსაც იგი აღიარებდა *„ლოცვის მოძღვრებად“, „ლოცვის მეცნიერებად“* და *„იმგვარ განწყობად, რითაც სიტყვების მეშვეობით ღმერთთან თანაზიარებას აღწევ“.* წმიდა იოანე ოქროპირი (მჭევრმეტყველების უნარის გამო ამგვარად წოდებული), ორ ტრაქტატს წერს „მამაო ჩვენო“-ს შესახებ, რომელიც იმდენად სრულფასოვანია, რომ კომენტარს არც საჭიროებს. წმ. ავგუსტინემ შვიდამდე ნაშრომი დაგვიტოვა ამ ლოცვის შესახებ, ხოლო თავის ტრაქტატში – Il sermone Domini in monte იგი დასძენს, რომ ეს არის *„ყველაზე სრულყოფილი ლოცვა, რომელიც გამოხატავს ყველა რეალურ სურვილს, რითაც ქრისტიანი უფალს მიმართავს“*. IV საუკუნიდან „მამაო ჩვენო“ უფლის სერობის ცენტრალურ ნაწილს წარმოადგენს (წირვაზე). იგი დღემდე ამ სიტყვებით გამოიხატება: *„მაცხოვრის სიტყვისადმი მორჩილნი, და ღვთიური სწავლებით გარდაქმნილნი, ვამბობთ...“* ქრისტეს გარეშე ვერასოდეს შევიცნობდით, რომ ღვთის შვილნი და ღვთიური ბუნების მოზიარენი ვართ, ვერასოდეს გავბედავდით, რომ ღვთისთვის მიგვემართა:

▶ 14 გვ.

იგი უწინარესად ლოცვის ხარისხზე ზრუნავდა და არა მის ხანგრძლივობაზე. ამავე დროს, კათოლიკეთა მოწოდებაა, ხშირად ილოცონ სავარდის ლოცვა, თუმცა ამ შემთხვევაშიც დაითვლება არა რაოდენობა, არამედ ხარისხი. სავარდის ლოცვა იწყება სამოციქულო მრწამსიდან და იყენებს ლოცვას „გიხაროდენ, მიმადლებულო მარიამ“, რომელიც თავდაპირველად წარმოთქმულია მთავარანგელოზ გაბრიელისა და წმიდა ელისაბედის მიერ (ეს სიტყვები დამოწმებულია ლუკას სახარებაში 1:28, 42). რაც შეეხება უფლის ლოცვას ანუ „მამაო ჩვენოს“, ის ნასწავლია თავად იესოს მიერ და განჭვრეტს ქრისტეს საიდუმლოს, – მისი ხარებიდან მის სიკვდილამდე, აღდგომამდე, ამაღლებამდე. ორმოცდაათი „გიხაროდენის“ ერთიანად ლოცვა სულიერი სიმშვიდის მომტანია. მაგრამ საქმე ის კი არაა, რომ ლოცვის განმეორებით მეტ მადლს მოვიპოვებთ (ვერავინ იტყვის, რომ, ვთქვათ, ათი სავარდის წარმოთქმა უფრო ნაკლები მადლის მომნიჭებელი იყოს), არამედ ის, რომ, რაც უფრო მეტად წარმოვთქვამთ სავარდის ლოცვას, გონება მით უკეთ მოსწყდება ყოველდღიურ შფოთვას, ამაღლდება ამქვეყნიური ყაყანისა თუ ჟივილ-ხივილისაგან და თანდათანობით შეუერთდება ზეციურს.

მორწმუნე ადამიანის გაერთიანებას მლოცველთა ჯგუფში, რომელიც ყოველდღიურად, ყოველკვირეულად თუ ყოველთვიურად იკრიბება, ასევე შეუძლია დახმარების აღმოჩენა ლოცვისას. ამავე დროს, ლოცვას ისიც ეხმარება, თუკი ვიკითხავთ ბიბლიის კომენტარებს, კათოლიკე ეკლესიის კატეხიზმოს და ეკლესიის მოძღვართა ნაწერებს ან, ზოგადად, სანდო და ჭეშმარიტი სულიერი მწერლობის ნიმუშებს.

მასალა მოამზადა
მერაბ ღაღანიძემ

◀ 13 გვ.

„მამაო ჩვენო“, და ამდენად, ვერასოდეს შევიცნობდით, რაოდენ ვუყვარვართ ღმერთს. იოანე ოქროპირი წერს: *„უფალმა შეგვასწავლა ერთად ლოცვა ყველა ჩვენი ძმისათვის. იგი ამბობს არა მამაო „ჩემო“, რომელი ხარ ცათა შინა, არამედ მამაო „ჩვენო“, რათა ჩვენი ლოცვა ერთი გულიდან წამოვიდეს და ეკლესიის მთელი სხეულის მიმართ აღ ზევდეს“*. ხოლო თავის ქადაგებებში (67 და 72) შემდეგს აცხადებს: *„ქრისტემ შეგვასწავლა მოკლედ ლოცვა, რამეთუ მას სწადია, მსწრაფლ იქნეს შესმენილი ჩვენი თხოვნა. განა შეუძლია ღმერთს, შეაყოვნოს პასუხი, თუკი გულთამხილველია ჩვენი ვედრებებისა და თავად გვკარნახობს ამ ლოცვას?“*

V საუკუნეში მოღვაწე მამებმა, წმ. ისიდორემ და წმ. კირილმა, ალექსანდრიის პატრიარქმა (412-444წწ.), ამ ლოცვას საფუძვლიანი გამოკვლევები მიუძღვნეს. წმიდა ბონავენტურა, საუფლო ლოცვისადმი გულმხურვალე დამოკიდებულებით, ახცადებს, რომ *„ეს ლოცვა გამორჩეულია სამი განსაკუთრებული ასპექტით: თავისი ღირსებით, რამეთუ ქრისტემ შეადგინა; თავისი სინთე ზურობით, რის გამოც ადვილად ასათვისებელია და ხშირად შეიძლება მისი წარმოთქმა, და ბოლოს, თავისი ნაყოფიერებით, რამეთუ მოიცავს ყველა თხოვნას და ყველა იმ საჭიროებას, რაც სულიერ და მიწიერ ცხოვრებას შეეხება“*. აღსანიშნავია წმ. თომა აქვინელის „უფლის ლოცვის ექსპოზიცია“, სადაც იგი *მამაო ჩვენოს* განსაზღვრავს, როგორც „სრულიად სრულყოფილ“ ლოცვას, რადგანაც *„ის ყველა ლოცვა ზე უპირველესია, მას აქვს სრულყოფილი ლოცვისთვის საჭირო ხუთი საუკეთესო თვისება: ის არის გასაგები, პირდაპირი, დახვწილი, სარწმუნო და მდაბალი“;* და კიდევ: *„უფლის ლოცვაში არა მხოლოდ ყველაფერია მოცემული, რასაც უშუალოდ ვითხოვთ, არამედ იმ თანმიმდევრობით, რითაც თხოვნა უნდა შესრულდეს: ასე რომ, ეს ლოცვა არა მხოლოდ გვასწავლის თხოვნას, არამედ მთელ ჩვენს გრძნობებს ეხება“*.

გვიანდელ შუა სუკუნეების ეპოქაში, როგორც სასულიერო ლიტერატურაში, ასევე დასავლური ბერ-მონაზვნური ცხოვრების დოკუმენტებში, „საუფლო ლოცვის“ შესახებ მრავალ კომენტარს ვხვდებით, რომლის ავტორებიც არიან: წმ. ბრუნო, ვურცბურგის ეპისკოპოსი, მაურო რაბანოსი და წმ. ბერნარდო კიარავალე. ასეთ კვლევებსა და კომენტარებს ვხვდებით ასევე აღმოსავლურ ბერ-მონაზვნობაშიც. მრავალრიცხოვან ავტორთა შორის, შეგვიძლია გავიხსენოთ პეტრე ლაოდეკიელი, წმ. გერმანე კონსტანტინოპოლელი და წმ. თევდორე, კონსტანტინოპოლის სტუდიის ცნობილი მონასტრის ბერი. ბერძნულ-აღმოსავლურ სამყაროში გვაქვს ერთი საოცარი მოწმობა, რომელიც მეტყველებს იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანი და გავრცელებული იყო ლოცვა „მამაო ჩვენო“. ეს არის ელინურ ქალაქ მეგარაში ნაპოვნი ანტიკური თიხის ჭურჭელი, სხვა ტერაკოტებთან ერთად, რაზედაც ამოკვეთილია ფრაზები სახარებიდან და მთლიანად არის მოყვანილი ბერძნულ ენაზე *მამაო ჩვენო*. ეს ლოცვის ერთგვარი წიგნი იყო გაჭირვებული მორწმუნეებისთვის, მათთვის, რომლებსაც ხელი არ მიუწვდებოდათ ძვირფას პაპირუსებზე შესრულებულ ლოცვებზე. VIII საუკუნეში *მამაო ჩვენო*, მრწამსთან ერთად, უმთავრეს არგუმენტად იქცა ბავშვთა კატეხიზმოში, რომელიც მთელ რიგ კითხვა-პასუხებზეა აგებული. უნდა აღინიშნოს ასევე, რომ 802 წელს, კარლოს დიდის დროს, ერთ-ერთ შეკრებაზე დადგინდა, რომ ყოველ ერისკაცს ზეპირად უნდა სცოდნოდა „მამაო ჩვენო“. სხვადასხვა დროს გამართულ კრებათა შედეგად, დადგინდა „მამაო ჩვენოს“ გამოყენება მორწმუნეთა ლოცვებში. ესპანეთში, ჯირონის კრებაზე, X კანონით, და 633 წელს, სევილიის ეპისკოპოსის, წმ. ისიდორეს ხელმძღვანელობით, ტოლედოს IV კრებაზე, IX კანონით დაადგინეს, რომ მორწმუნეებს დილითა და საღამოთი უნდა წარმოეთქვათ „მამაო ჩვენო“. შუა საუკუნეებში, გაცილებით ადრე, ვიდრე დომენიკელები სავარდის ლოცვას (ე.წ. rozarium-ი) გაავრცელებდნენ, მორწმუნეთა შორის წესად იყო *საუფლო ლოცვის* რამდენჯერმე გამეორება, ხოლო დათვლის მიზნით იყენებდნენ მძივებს, რომელსაც ყიდდნენ წმინდა პეტრეს ტაძრის კოლონადების ქვეშ და ვატიკანის გრძელ ქუჩაზე, ლატერანამდე. ინგლისში არსებობდა *პატერ ნოსტერ*-ის ქუჩა, სადაც იყიდებოდა რელიგიური სახის საგნები, მათ შორის, სავარდები, ხოლო დიდი ინგლისელი დრამატურგის, შექსპირის *რიჩარდ III*-ში აღწერილია ამ ლოცვისადმი *„საამური და მხურვალე მოწიწება აღორძინების ხანის ღვთისმოშიში ქრისტიანებისა, რომლებიც თავიანთ „ყოველდღიურ პატერ ნოსტერ“-ს წარმოთქვამდნენ, და რომელთაც ძნელად თუ წაართმევდით ამ ჩვეულებას“*. ლოცვის ყოველდღიური წარმოთქმის მნიშვნელობა კარგად გამოიკვეთა 1892 წელს, როდესაც კოლუმბიელების დღესასწაულზე, ჩიკაგოში შეიკრიბა რელიგიათა მსოფლიო პარლამენტი, ერთ-ერთი პირველი ამერიკელი კათოლიკე კარდინალის, ბალტიმორის არქიეპისკოპოსის, ჯეიმს გიბსონის მეთაურობით. ერთ-ერთ შეხვედრაზე, ერთმანეთისაგან განსხვავებულ და უთანხმოებაში მყოფ რელიგიათა წარმომადგენლებს შორის, კარდინალმა შეძლო შთამაგონებელი ერთსულოვნების მიღწევა *მამაო ჩვენოს* წარმოთქმით, რომელიც მთელი მუშაობის პროცესში, შეხვედრის გახსნიდან დახურვამდე, ყოველდღე წარმოითქმოდა. კარდინალმა გიბსონმა, როდესაც იესოს თვალებითა და სულით შეხედა ერთმანეთისაგან ასე განსხვავებული, ერთმანეთის მოსაზრებებისა და წეს-ჩვეულებების უარმყოფელი ადამიანებით შემდგარ ასამბლეას, ამ გამაერთიანებელი ლოცვის სახით, ფასდაუდებელი მადლი დასდო ესოდენ გათიშულ სამყაროს. *„უფალმა ჩვენმა ინება, რომ ეს ლოცვა გამორჩეული ყოფილიყო მთელი კაცობრიობისთვის“*, – ასეთი იყო ამ მნიშვნელოვანი კონგრესის მიმომხილველის, ჰ. ბარროუსის კომენტარი, რომელმაც, ამასთან დაკავშირებით, ინგლისელი პოეტის, ტენისონის ლექსი *მამაო ჩვენო*-ს დაუკავშირა: „ოქროს ჯაჭვები მთელ კაცობრიობას ერთმანეთთან აკავშირებს ღვთის ფერხთა ირგვლივ“, და იესოს ლოცვას მსოფლიოს რელიგიური ერთობის საბოლოო საყრდენად აქცევს.

მოამზადა მამა გაბრიელე ბრაგანტინიმ

ძველი ღმერთი დატყვევებული მღვდელთმთავარი

ფონტენებლოს საკეისრო ციხის ერთს სადგომში 1813 წელს ბრწყინვალე სამოსით მორთული ცხოვრობდა ერთი სასახლის მცველი, თხუთმეტი წლის ყმაწვილი კაცი შვენიერის სახისა, რომელიც გრაფ რეთელის გვარითაგან ჩამომავლობდა. სხვათა შორის მას ქვეყნის მპყრობელი ნაპოლეონის დაახლოება ღირსებოდა. იმ ხანებში ღრმა მწუხარებისა და შებრალების გრძნობით მოცული იყო ამ ყმაწვილ კაცის შვენიერი პირის სახე; ყმაწვილურს თვალებში ცრემლები უბრწყინავდნენ და თანდათან მომატებით და კურცხალ კურცხალად ოქრო მკერდის სამოსზედ უცვიოდნენ; მაგრამ ის სრულიად ხმას არ იღებდა, არც არა შინაგან ძლიერ მღელვარების მოძრაობას იჩენდა, იდგა სწორედ უძრავად, როგორც დამცველ მწყობრთა მხედარი. მისი მწუხარების მიზეზი იყო დიდად საპატიო მოხუცებულის მდგომარეობა, რომელიც იქავ სადგომში სკამზე იჯდა და რომელზედაც ჰქონდა ყურადღება მიქცეული გრაფ იოსებ რეთელ ყმაწვილ კაცსა.

პატივცემულ მოხუცს თეთრი გრძელი ხალათი ეცვა ფეხთამდის. ვინ წარმოიდგენდა, თუ ის დიდი საჩინო ვინმე იყო. მისი ჩაცმულობა თითქმის გლახაკის სამოსელს მოგაგონებდა. მძიმე შეწუხებათა და შევიწროებათა კვალნი აღბეჭდილ იქნენ მის პატიოსანს სახეზე. პირის სახე გადასცრეცოდა. ლოყები სიგამხდრით დანაოჭებოდა, თვალები ჩასცვინოდა, მაგრამ სიწმინდის მშვიდობიანობა აბრწყინებდა მის მწუხარე პირის სახეს! იოსებ ყმაწვილ კაცის გულის ამაძგერელს მიზეზებში უმთავრესად საპატიო მოხუცებულის მოთმინება იყო. ამას დიდი გავლენა ჰქონდა იოსებზე. თეთრხალათიანი მოხუცებულის, თითქოს მაღალის ხმით ძახილი ესმოდა მას: იგი მეტად უჩიოდა მძლავრობასა და შეწუხებას, ჩანს იმ დროს ლოცულობდა, შეტყუბული ხელები მკერდზე მიესვენა, თავი ცოტა მაღლა აეღო, ღმერთთან დაახლოების უმაღლესი გრძნობა აბრწყინებდა მოხუცებულის პირის სახეს, ასე ეჩვენებოდა იგი მის მჭვრეტელ ყმაწვილ კაცს. მის შეწირულ ლოცვას საკვირველი ძლიერება უნდა ჰქონოდა ახალგაზრდა იოსების თვალში. ოთხკუთხივ მფლობელი ღრმა სიჩუმე უაღრესობას აძლევდა სანახავსა: ჩინებული სახელმწიფო სასახლე წმიდის ტაძარსავით ეჩვენებოდა, თითქოს ჰგრძნობსო იგი უჩინო ძალთა მოახლოებას. ასეთი ზედდაკვირვებით ერთობ პატივისცემა გაეღვიძა იოსებ რეთელს: მას ცრემლები ღაპა-ღუპით ჩამოსდიოდა ლოყებზედ და წმიდა კრძალვა-კრეფით უწყო ჭვრეტა ეკლესიის თავსა ქრისტეს მომაგიერესა ქვეყანასა ზედა. ის მოხუცებული იყო პიო XVII. მღვდელთმთავარი, ოთხი წლის ტყვე ნაპოლეონისა.

მ. ივანე გვარამაძე

ერთიც ვნახოთ, ხმლის მოახლოებულმა ჩხარაჩხურმა სასახლის მცველის ყურადღება მიიქცია, მარჯვნივ ღია კარისკენ ჩხარაჩხური თანდათან მოახლოვდა, ჩქარ ჩქარი და წვრილი ნაბიჯით მავალი ვიღაც მხედართ-მთავრის ნაირი ოქროს ტანისამოსით კარითგან შემოდის. მიდის ტახტს შუა ადგილამდის და იქ უეცრად ჩერდება, როგორც შეყენებული მლოცველი მღვდელთმთავრის დანახვაზე. მას წმინდათ გაკრეჭილი ელვარე შავი თმით ჰქონდა თავი დაფარული. პირი სახის ფერი მოყვითალო ჰქონდა. სახის მოყვანილობა წესიერი და შვენიერი: მარტო ურიგოდ წარმოქმული ქოსა ყბა ღაწვენი მის ტანწვრილ პატიოსანს მოყვანილობას არ შეშვენოდა, ჰგავს გულ-ფიცხი და ქვა რკინის ნებისა უნდა ყოფილიყოს! მის შეხედულებას ჰქონდა მბრძანებელი მწველი და გავლენის მქონე იერი. ერთი სიტყვით ევროპის ამათრთოლებელი იყო ნაპოლეონ პირველის სახე.

(გაგრძელება იქნება)

ავტორი კონრად ბოლონდენელი
მესხის იოანე მღვდელ გვარამაძის
მიერ ნათარგმნი
(მოამზადა გიორგი როსტომაშვილმა)

სიქსტეს მადონა და რუსული კულტურა

(გაგრძელება, დასაწყისი „საბა“ 2011, № 9-10)

ვაკენროდერისა და ფლორენსკის აზრით, რაფაელი თავის სულს კვებავს „ქალის იდეალით“ და ამიტომაც ეძებს მხატვარი ასე დაუდგრომლად ნაკვთებს, რითაც ქალწულს გამოსახავდა. რაფაელი შეძლებისდაგვარად დაუახლოვდა ზეციურ მოდელს, და არა მხოლოდ ესთეტიკური თვალსაზრისით, არამედ ჭეშმარიტი მოწიწებით. მრავალგზის გამოუსახავთ ღვთისმშობელი მოსიყვარულე მშობელი დედის სახით, რომლის მზერასა და პოზაში ადამიანური შერწყმულია ზეციურ სიწმიდესთან. მათ შორის, *სიქსტეს მადონას* ძალიან ჰგავს *ფოლინიოს ღვთისმშობელი* (დაახლ. 1511-1512), არა მარტო დედისა და ყრმის სახის ნაკვთებით, არამედ მარცხნივ ჩამოშვებული მანტიით, და იმ ფაქტითაც, რომ სურათის ფონზე, ღრუბლებში პატარ-პატარა ანგელოზების გუნდია გამოსახული. მაგრამ ის, რაც განასხვავებს *ფოლინიოს მადონას* და წმიდა სიქსტეს ბერებისთვის დახატულ სურათს, გახლავთ ღვთაებრიობის, ზეციური წყალობის დემონსტრირება ადამიანურ სახეებში, რაც სურათს უნიკალურ დასავლურ ხატად აქცევს. გოეთე თავის ცნობილ ლექსში *Einer hohen Reisenden* (1808) *სიქსტეს მადონას შესახებ* წერს, რომ იგი არის „პირველსახე *(Urbild)* დედისა, დედუფალი მანდილოსანთა, ჯადოსნური ფუნჯით გამოსახული“. სწორედ ამ „ჯადოსნური“ ძალის გამო დაამკვიდრეს იგი კულტად თავიანთ სამშობლოში რუსმა მხატვრებმა და მოაზროვნეებმა. ზემოხსენებული *კიუხელბეკერის* გარდა, იმავე წლებში, კერძოდ კი 1821 წელს, დრეზდენი მოინახულა *ჟუკოვსკიმ*, დიდმა პოეტმა, პუშკინისა და გოგოლის მეგობარმა, მომავალი მეფის, ალექსანდრე II-ის პროტეჟემ, პიროვნებამ, რომელსაც დიდი წონა ჰქონდა რვაასიანი წლების რუსულ კულტურაში. 1821 წ. 29 ივნისით დათარიღებულ თავის ერთ-ერთ წერილში, რომელიც მოგვიანებით, რამდენიმე წლის შემდეგ დაიბეჭდა, იგი რაფაელის მადონას შესახებ წერს: *„ისეთია ამ სულის ძალა, რომ სამუდამოდ ფეთქავს და მუდამ იფეთქებს ამ ღვთაებრივ ქმნილებაში; როცა მის სახეს გულდასმით აკვირდები, მის ირგვლივ ყველაფერი უჩინარდება. ამბობენ, რომ ამ სურათის დახატვას რაფაელი დიდხანს ფიქრობდა, და არ იცოდა, როგორ დაეხატა: მუზა იგვიანებდა. ერთხელაც, ღვთისმშობელზე ფიქრით ჩაეძინა და რომელიღაც ანგელოზმა იგი გააღვიძა, შესძახა და ტილოზე მიუთითა, რაზედაც მან პირველი მონახაზი შეასრულა. სინამდვილეში, ეს არ არის სურათი, ეს ხილვაა... მხატვრის სულმა, ხელოვნების ყოველგვარი ხრიკის გარეშე, განსაცვიფრებელი სისადავითა და სიმსუბუქით მიანდო ფუნჯს სულის სიღრმეში მომხდარი სასწაული... ღვთისმშობლის წინაშე გატარებული წუთები ჩემი ცხოვრების ყველაზე ბედნიერ წუთებს მიეკუთვნება... ჩემს ირგვლივ მდუმარება სუფევდა. თავიდან რაღაც ძალამ საკუთარ თავში ჩამკეტა, მერე აშკარად ვიგრძენი, რომ სული ფრთებს შლიდა: ამაღელვებელი სიდიადე აღწევდა მასში, ენით უთქმელი ისახებოდა და იგი იქ იყო, სადაც შეიძლება იყო ცხოვრების საუკეთესო წუთებში. მასში იყო წმინდა სილამაზის გენია... არ მესმოდა, როგორ შეეძლო ჩარჩოში მოქცეულ მხატვრობას ამ სიდიადის შექმნა: თვალწინ არის ტილო, მასზე გამოსახულია სახეები, ნაზი ნაკვთებით, ყველაფერი ვიწრო საზღვრებშია მოქცეული, და მაინც ასე ვრცელი და უკიდეგანოა! ვფიქრობ, რომ ეს სურათი სასწაულმა შვა: ფარდა იწევა და ზეციური საიდუმლო თვალწინ გვეშლება. ყველაფერი ზეცაში ხდება: ერთი შეხედვით, ის ცარიელი და ნისლიანი ჩანს, მაგრამ აქ არც სიცარიელეა, და არც ნისლი, არამედ რაღაც არაბუნებრივი, მშვიდი ნათება, ანგელოზებით სავსე, რომელთა ყოფნასაც შეიგრძნობ, ვიდრე თვალით აკვირდები: შეიძლება ითქვას, რომ ატმოსფერო წმიდა ანგელოზად გარდაისახება ამ ზეციური ქალწულის წინაშე... ღვთისმშობელში, რომელიც ზეცაში დანარნარებს, არანაირი მოძრაობა არ შეინიშნება, მაგრამ რაც მეტად აშტერდები, უფრო მეტად გრძნობ, რომ იგი გიახლოვდება. მისი სახის გამომეტყველება, მისი მზერა ამოუცნობია, ვერ დააზუსტებ. მასში ყველაფერი მისტიურია: სიმშვიდე, სიწმინდე, სიდიადე; მის არამიწიერ, გრძნობით აღსავსე მზერაში სულის სინაზე გამოსჭვივის. მისი თვალები არ ბრწყინავენ... მათში რაღაც ამოუცნობი, ღრმა საიდუმლო იმალება; მზერა ისეთია, თითქოს უსასრულობას ხედავდე. მას ყრმა ხელებით კი არ უჭირავს, არამედ გეგონება, ამ ხელებით რბილ ტახტრევანს უქმნის. იგი, ვითარცა მიწისა და ცის განმგებელი, ამ ტახტრევანზე ზის და მისი თვალების მზერა არსაით არის მიქცეული; ეს თვალები ჩირაღდნებივით ანათებენ, მარადიული ბრწყინვალებით კაშკაშებენ“.*

ამ ჩანახატმა გარკვეული გავლენა მოახდინა თვით ა. პუშკინზეც, რომელიც თაყვანსცემდა რაფაელს; შეიძლება გავიხსენოთ მისი სონეტი „მადონა“ (1830), სადაც პოეტი გვაუწყებს, რომ მას ყოველთვის სურდა, საკუთარი სახლის კედლები მოერთო არა ძველ ოსტატთა ნახატებით, რომლებიც მონუსხავდნენ მნახველებს, არამედ მხოლოდ ერთი სურათისთვის მიეჩინა ადგილი კედელზე, სადაც ნათლით მოსილი, ღრუბლებიდან გარდამომავალი ყოვლადწმიდა ქალწული, ღვთაებრივი ყრმით ხელში, მთელი თავისი სიდიადით წარსდგებოდა. ეს გახლდათ, ბრიჯვატერის ღვთისმშობელი (*madonna Bridgewater*), ისიც პაპ ურბანოს მიერ შეკვეთილი. მარიამი აქ სამეფო სამოსშია გამოწყობილი, ყრმას კი ისეთი სიბრძნე ჩასდგომია თვალებში, რაც მას „დიდებითა და ნათლით“ მოსავს. პოეტის ყველაზე გულითადი სურვილი ახდა. შემოქმედმა მას, ამ სურათის სახით, ზეციდან მოუვლინა ღვთისმშობელი, „ყველაზე წმინდა წყალობის ყველაზე წმიდა ხატება“.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

(ცეზარე ბორი – რაფაელის სიქსტეს მადონას გავლენა რუსულ კულტურაზე. მულინო, ბოლონია, 1990 წ.)

მოამზადა **მამა გაბრიელე ბრაგანტინიმ**

„საბას“ კორესპონდენტების მორიგი ფორუმი

სექტემბრის ბოლო შაბათს, თბილისში შედგა ჟურნალ „საბას“ სარედაქციო საბჭოსა და რეგიონული კორესპონდენტების მორიგი სამუშაო შეხვედრა. მსგავსი შეხვედრები რამდენიმე წელია იმართება, სადაც, საქმიან ატმოსფეროში, ჟურნალის თანამშრომლები მსჯელობენ გაწეულ საქმიანობაზე, სახავენ სამომავლო გეგმებს. შეხვედრაში ასევე მონაწილეობდნენ სპეციალურად მოწვეული სტუმრები: პროფესიონალი ჟურნალისტები, კულტურისა და მეცნიერების გამოჩენილი მოღვაწეები, რომლებიც უზიარებდნენ თავიანთ გამოცდილებას „საბას“ კორესპონდენტებს. ამჯერად სტუმრად მოწვეული გახლდათ საქართველოში ვატიკანის ელჩის მოვალეობის შემსრულებელი, მეუფე ფილიპო ჩამპანელი. მისი საუბრის თემა შეეხებოდა ამ ზაფხულს, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ რელიგიათა კანონს. სტუმარმა დამსწრეთ მოუთხრო კანონის მიღების მნიშვნელობის შესახებ, დიპლომატიური კორექტულობით შეეხო აღნიშნული კანონის მიღების წინა პერიპეტიებს, ისაუბრა საქართველოსა და ვატიკანის ურთიერთობებზე. საუბრის დასასრულს, ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა პასუხი გასცა კითხვებს, რომლებიც, ძირითადად, სწორედ ამ კანონის ამოქმედებასა და, აქედან გამომდინარე, საქართველოში მოქმედი კათოლიკური ეკლესიის სამომავლო მდგომარეობას შეეხებოდა.

შეხვედრის მეორე ბლოკში „საბას“ კორესპონდენტების წინაშე წარსდგა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული ორიენტაციის ცენტრის ჟურნალის – „მასწავლებლი“ რედაქტორი, ბატონი ირაკლი კაკაბაძე. მან მოკლედ მიმოიხილა კონფესიურ მრავალფეროვნებასთან დაკავშირებული ის პრობლემები, რომლებიც თავს იჩენენ განათლების სისტემაში. მან დამსწრეთ გააცნო ჟურნალ „მასწავლებლის“ ბოლო წლების ნომრები და ისაუბრა სამომავლო კონცეფციებზე. ასევე, გამოთქვა სურვილი, რომ გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის, მიხეილ თამარაშვილის მე-100 წლისთავთან დაკავშირებით, „მასწავლებელსაც“ გამოექვეყნებინა სათანადო სტატია.

შეხვედრის მესამე ბლოკი დაეთმო საქართველოში ისტორიის მასწავლებელთა საერთაშორისო ასოციაციის მიერ მომზადებულ დამხმარე სახელმძღვანელოს – „როგორ ვცხოვრობდით საქართველოში XX საუკუნეში“- პრეზენტაციას. პრეზენტაციას უძღვებოდა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნუგზარ ბარდაველიძე, რომლის თანაავტორობით მომზადებული მასალა ქუთაისის კათოლიკური მრევლის შესახებ შევიდა ამ დამხმარე სახელმძღვანელოში. ტოლერანტობა, სამოქალაქო განათლება, კულტურათა დიალოგი მულტიეთნიკურ და მულტიკონფესიურ გარემოში, მშვიდობიანი და პარტნიორული თანაცხოვრების ტრადიცია ძველად და მისი სამომავლო განმტკიცება, – აი, ის მთავარი მესიჯი, რასაც აწვდის აღნიშნული სახელმძღვანელო მის მკითხველს.

შეხვედრის მეოთხე ბლოკში დამსწრეთ მიხეილ თამარაშვილის წიგნების ისტორიულ მნიშვნელობაზე ესაუბრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, კათოლიკური ეკლესიის ისტორიის ცნობილი მკვლევარი, ბატონი მურმან პაპაშვილი. მამა მიხეილ თამარაშვილი იყო პირველი მეცნიერი ისტორიკოსი, ვინც ევროპას გააცნო საქართველო და აღმოაჩინა ვატიკანის საცავებში დაცული ქართული დიპლომატიური წერილობითი ძეგლები. რა იქნებოდა საქართველოს ისტორია მ. თამარაშვილის კვლევების გარეშე? საუკუნეზე მეტია, ქართველი მეცნიერები იყენებენ მ. თამარაშვილის კვლევებს, და ამ სამივე წიგნს ჯერაც არ დაუკარგავს თავისი აქტუალობა და დიდი მნიშვნელობა ჩვენი ერის ისტორიის შესწავლის საქმეში.

დასასრულს, მამა გაბრიელე ბრაგანტინიმ მოკლედ შეაჯამა შეხვედრა, ისაუბრა იმ დაუძლეველ პრობლემაზე, რასაც „საბას“ გავრცელება და მკითხველამდე მიტანა ჰქვია. პრობლემა იმისა, რომ ინტერესი თანდათან იკარგება და დაურიგებელი ნომრებიც მრავლად რჩება, სახეზეა. მიუხედავად იმისა რომ ჟურნალის კორესპონდენტები ხაზს უსვამდნენ მკითხველის ინტერესს ყოველი ახალი ნომრის მიმართ და ყველანი ერთხმად აღიარებდნენ, რომ მ. თამარაშვილის საიუბილეო ნომერს მკითხველთა დიდი მოწონება მოჰყვა. მ. გაბრიელემ სინანულით შენიშნა, რომ საიუბილეო ნომერი განსაკუთრებით პოპულარული გახდა იმიტომ, რომ მასში წერია ის, რაც მკითხველს უნდა, ხოლო სხვა ნომრები, სადაც პრობლემატური, მაგრამ აქტუალური საკითხები შუქდება, ნაკლებ დაინტერესებას იწვევს. აქ შეიძლება ილია ჭავჭავაძეც გაგვახსენდეს, თავისი კრიტიკული გამონათქვამებით „გულის მოფხანაზე“. მართლაც, თანამედროვეობა მრავალ პრობლემას აყენებს ჩვენს წინაშე და მათზე მსჯელობა და მათი ანალიზი აუცილებელია ამ პრობლემათა გადასალახავად. პრესის ფუნქციაც ის გახლავთ, რომ მუდმივად შეგვახსენოს ეს პრობლემები და მოდუნების საშუალება არ მოგვცეს. მართალია, კანონი რელიგიის შესახებ მიღებულია და პრეზიდენტიც, ბოლო ორი წელია, სტუმრობს კათოლიკურ ეკლესიას და საქებ სიტყვებს არ იშურებს სახელოვანი კათოლიკეების მიმართ, მაგრამ თავმოწონების დრო არ მოსულა, და არც არასდროს დადგება, რადგან ცხოვრება მუდამ სავსეა მოულოდნელობებით და მუდამ ახალ ბარიერებს გვიქმნის. მარტო კანონის მიღება, მით უმეტეს, რომ ამ კანონის ქვემდებარე აქტები ჯერ არ არის დამტკიცებული, ბევრს არაფერს ნიშნავს და ქვეყნის მოსახლეობის საკმაო ნაწილი ტოლერანტობას მისაღებად მხოლოდ საკუთარი პიროვნების მიმართ თვლის, ხოლო სხვათა მიმართ შემწყნარებლობა მას სისუსტის გამოვლინება ჰგონია. მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციების იმედად ჩვენს უფლებათა დაცვას ვერ დავტოვებთ, მით უმეტეს, რომ არასამთავრობოთა ნაწილს სხვების უფლებათა დაცვა მხოლოდ მაშინ ახსენდებათ, როცა გრანტის მოსაპოვებელი პროექტია დასამტკიცებელი.

საქართველოს მთელ კათოლიკურ საკრებულოს მართებს მუხლჩაუხრელი, თანმიმდევრული მოღვაწეობა, რათა კათოლიკე ეკლესიის სტატუსი ისეთი იყოს, როგორიც შეეფერება სამართლებრივ, დემოკრატიულ სახელმწიფოს, ტოლერანტულ და ლიბერალურ გარემოში.

ნუგზარ ბარდაველიძე

ახალი წიგნები

ქრისტიანობის ლექსიკონი



ქართულად გამოცემული ენციკლოპედიების, ლექსიკონებისა თუ ცნობარების უკიდურესმა სიმწირემ, – მით უმეტეს, როცა საქმე შეეხება რელიგიურ თემატიკას, – გადაგვაწყვეტინა, მკითხველისათვის მიგვეწოდებინა ქრისტიანობის ლექსიკონი, რომლის წყაროდაც შეირჩა პიერო პეტროზილოს ფართოდ აღიარებული და სანდოდ მიჩნეული ნაშრომი: „ქრისტიანობა ანიდან ჰოემდე: ქრისტიანული სარწმუნოების ლექსიკონი“.

წიგნში ანბანურადაა დალაგებული ცნებები და ცნობები, რომლებიც მოკლედ, – თუმცა საფუძვლიანად და მთლიანობაში, – წარმოაჩენს ქრისტიანულ სამყაროს: საღმრთო წერილსა და საღმრთო გადმოცემას, ეკლესიის მოძღვრებას სარწმუნოებისა და ზნეობის შესახებ, აღმოსავლეთისა თუ დასავლეთის სულიერ და ლიტურგიულ ცხოვრებას, ეკლესიის ისტორიის განმაპირობებელ მოვლენათა განვითარებასა და თანამედროვე მდგომარეობას, კანონიკური სამართლის დებულებებსა და ღმრთისმოსაობის პრაქტიკებს; ცალ-ცალკეა დახასიათებული ქრისტიანობის სხვადასხვა მიმდინარეობათა, სწავლებათა, დაჯგუფებათა წარმოშობა და რაობა; ამავე დროს, გულდასმითაა შერჩეული და მოწოდებული უმთავრესი მონაცემები მსოფლიოს ყველა გავრცელებული რელიგიისა თუ რელიგიურ მოძრაობათა შესახებ...

მკითხველის ყურადღებას იმასაც მივაპყრობთ, რომ ლექსიკონის ქართული ვერსიის მომზადებისას ერთმანეთს ერწყმოდა სურვილი მივიწყებული ლექსიკის გაცოცხლებისა და მცდელობა ახალი ლექსიკის შექმნისა, შემოტანისა დამკვიდრებისა. ამავე დროს, უპრიანად მივიჩნიეთ, გვესარგებლა ხელსაყრელი საშუალებით ძველ წყაროებში შენახულ სიტყვათა, გამოთქმათა თუ ფორმათა აღსადგენად ან მათთვის სწორი, თავდაპირველი მნიშვნელობის დასაბრუნებლად...

ბუნებრივია, რომ ლექსიკონში, რომელსაც საფუძვლად დაედო იტალიური ორიგინალი, სრულიად არაა ასახული ქართული სინამდვილის მონაცემები. მაგრამ ამ გულდასაწყვეტი ვითარების მიუხედავად, შეუძლებლად მივიჩნიეთ ავტორისეულ – მწყობრ და ინტეგრალურ – ტექსტში უნებართვო და უდიერი ჩარევა. ამავე დროს, ნაკლულობის ეს გრძნობა იმედს გვიჩენს, რომ არც ისე შორეულ მომავალში შეიქმნება როგორც ცალკე ქართული ქრისტიანული ტრადიციისა და კულტურის ლექსიკონი, ისე უკვე ქართულად დაწერილი და შედგენილი ქრისტიანული ლექსიკონი, რომელშიც ქართული მასალაც თავის შესაბამის და უეჭველად კუთვნილ ადგილს დაიჭერს...

მერაბ ღაღანიძე

სარჩევი

ხსოვნა 2
რედაქციის გვერდი.....3
კათოლიკე ეკლესია
მსოფლიოში 4
კათოლიკე ეკლესია
საქართველოში 7
მიხეილ თამარაშვილის
საიუბილეო წელი.....9
კათოლიკური პასუხი 12
მამაო ჩვენო.....12
საარქივო მასალები.....15
ფიქრები სიქსტეს მადონაზე 16
ინფორმაცია 17
ახალგაზრდული გვერდი.....19
საგანგებო ჩანართი .....I-IV

რედაქცია:
მამა გაბრიელე ბრაგანტინი
ნუგზარ ბარდაველიძე
ნატო ბიგვავა
ვერიკო ნოზაძე
მერაბ ღაღანიძე
ზაზა შათირიშვილი
ციცინო ხითარიშვილი

მისამართი:
თბილისი, გია აბესაძის ქ. №4
ტელ.: 98-95-16
რეგისტრაციის № 1853
დაარსდა 1994 წ.
მანანა ანდრიაძის მიერ
© „საბა“, 2011

განუსვენე მათ, უფალო!

ირაკლი გოგოლაძე
* 12.10. 1933 – ბათუმი
† 23.09.2011 – ბათუმი

ზოთა პაპაშვილი
* 15. 03. 1933 – ასპინძა, ხიზაბავრა
† 15.10.2011 – ვალე

საქართველოს კათოლიკეთა ახალგაზრდების საბჭო

მოხალისეთა ფორუმი წეროვანში

30 სექტემბრიდან ორი ნოემბრის ჩათვლით, „საქართველოს კარიტასის“ სოციალურ-პასტორალური დეპარტამენტის ორგანიზებით, წეროვანის სულიერებისა და კულტურის საეპარქიო სახლში ჩატარდა საქართველოს კათოლიკური საკრებულოების ახალგაზრდა მოხალისეთა ფორუმი. კათოლიკეთა გარდა, ფორუმს ესწრებოდნენ მართლმადიდებლები და მოხალისეები საქ. ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიიდან.

ფორუმის პროგრამა სამი დღის განმავლობაში დატვირთული იყო ფორმაციული მომენტებით და მამა იეჟი პილუსისა და დიაკვან ედვარდ გოგილაშვილის მოხსენებებით. სწორედ მათი უშუალო ხელმძღვანელობით გახდა შესაძლებელი ფორუმის გამართვა. მათ მიერ წაკითხული მოხსენებები მიზნად ისახავდა, რომ ახალგაზრდები ღრმად ჩასწვდომოდნენ მოხალისეობის არსს და მასში დაენახათ ქრისტიანული მრწამსის გამოვლინება.

შუაში მარჩელო ჩელესტინი

მნიშვნელოვანი იყო თბილისის, გორის, ახალციხის, ბათუმის, ხიზაბავრის, ახალციხის, ვალეს, ოზურგეთის კათოლიკე ახალგაზრდების, ასევე, სხვადასხვა ქრისტიანული საკრებულოების: „პაპ იოანე XXIII-ის“, „რწმენა და სინათლის“, კამილიელთა ორდენის მოხალისეების მიერ გამოცდილების გაზიარება და იმ სამუშაოს სპეციფიკის გაცნობა, რისი შესრულებაც მათ უწევდათ.

შაბათს, ფორუმის მონაწილეთა წინაშე მოხსენებით წარსდგა საქართველოში მალტის სუვერენული სამხედრო ორდენის ელჩი, პროფესორი მარჩელო ჩელესტინი, თემაზე – მოხალისეობის მნიშვნელობა და მისი გავლენა ადამიანის ცხოვრებაზე. მოხსენებამ საყოველთაო მოწონება დაიმსახურა.

კვირას, ფორუმის ბოლო დღეს, წეროვანში ჩამობრძანდა ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო, რომელმაც ფორუმის მონაწილეთა ერთი ნაწილისათვის წმ. ლიტურგია აღავლინა, ხოლო ახალგაზრდების მეორე ნაწილს შესაძლებლობა მიეცა, მცხეთის ისტორიული ადგილები მოელოცა.

ფორუმი დასრულდა სამდღიანი მუშაობის შეჯამებით. მოხალისეობის უკეთ დაგეგმვის მიზნით, გადაწყდა, რომ სამომავლოდ მოხდეს შეხვედრა რეგიონულ ჯგუფებთან.

ვასილ ბალიაშვილი

რაბათი, ივანე გვარამაძის საფლავთან

ახალციხის საკრებულოს დღესასწაული

კონფერენცია ტექნიკურ უნივერსიტეტში

მამაო ჩვენო

მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა,
მუხლმოდრეკილი, ლმობიერი ვდგავარ შენ წინა;
არცა სიმდიდრის, არც დიდების თხოვნა არ მინდა,
არ მინდა, ამით შეურაცხვყო მე ლოცვა წმიდა...

ილია

კონფერენცია ახალციხის სასწავლო უნივერსიტეტში

მოხალისეები წეროვანში